იაკობ ახუაშვილი

ხურსიძე II ხურციძედან რუსთაველამდე

რედაქტორი შოთა თევდორაძე

გამომცემლობა "განათლება"
თბილისი — 1994

63.3(2ს)
ა 997

წიგნი დაწერილია ხურსიძე-ხურციძეთა გამოჩენილ საგვარეულოზე არსებული ისტორიული და სხვა სახის მასალების საფუძველზე. მკითხველი მასში გაეცნობა ახალი ჩორჩანელებიდან მოყოლებული ხურსიძე-ხურციძეთა საგვარეულოს უანგარო და თავდადებულ სამსახურს ქართველი ერისადმი, რაც სამაგალითო უნდა იყოს ყველა გვარისა და საგვარეულოსათვის.

წიგნი განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის.

წიგნი გამოცემულია ავტორის ხარჯით.

ა 0503000000- შკკ.-94
M-602(08)-94

JSBN 5-505-01916-1

© ი. ახუაშვილი, 1994
კოორპ."სტილისტი"

საქართველოს საამთოდ მიიწვევენ, ხოლო გერიტორიის სიმცირის გამო მას "ხელისუფლის ოღენა ქვეყანას" უწოდებენ. ამ პატარა ქვეყნის ბინადარ ხალხს – ქართველებს კი, მცირერიცხოვნობის გამო "ერთ მუჭა ხალხად" გვალიარებენ. უკვირთ, ქართველურმა ტომებმა – ამ ხშირად გათიშულმა, მართლაც მცირერიცხოვანმა ხალხმა, როგორ შეძლო 3 ათასი წლის განმავლობაში მრისხანე მტრებთან ბრძოლაში, დამპყრობი ქვეყნების გამუდმებული თავდასხმებისაგან თავისი ტერიტორიების და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება.

ყველაფერი ეს ქართველმა ხალხმა შეძლო საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების (მეფის) გარშემო გაერთიანებითა და ომიანობის დროს ქვეყნის დასაპყრობად მოსული მტრის წინააღმდეგ თავგანწირული ბრძოლით. ყოველთვე ამაში ერთგულებისა და გმირობის მაგალითებს იძლეოდნენ არა მარტო ცალკეული პირები, გლეხები და ხელოსნები, არამედ ქართული საგვარეულოები, ამ საგვარეულოთა ყველა ასაკის წარმომადგენლები – ახალგაზრდები, საშუალო ხნისანი, ჭარმაგნი, სანდაზმულნი და საკმაოდ ხშირად – მოხუცებულებიც კი.

ქართველი ხალხისა და ქვეყნის წინაშე სწორედ ასეთ ეალმოსდილ ქართულ გვარს წარმოადგენს ერთ დროს სამეფო გვარის – ბაგრატიონებისა და ზოგიერთ მთავართა გვერდით მდგომნი შორეულ წარსულში ჩ ო რ ჩ ა ნ ე -

ლ ე ბ ა დ წოლებულნი. შემდეგ ხურსიძენ ქცეულნი, ხოლო დღეს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მიმოფანტულნი, საშობლოსათვის კლავეც თავდადებულნი — ხ უ რ ც ი ძ ე ე ბ ი.

* * *

შემოთავაზებული საგვარეულო (ხურსიძე/ხურციძე) ქართულ ისტორიულ წყაროებში რამდენიმე გვარით მოიხსენიება. ადრე ხორჩანელები ყოფილან, საუკუნეების მანძილზე ხურსიძეების გვარით უმოღვაწნიათ, ხოლო XVI საუკუნის ბოლოდან გვარის ფუძეში ასო ს ასო ც-ს შეუცვლია და ხურციძეები გამხდარან. დღეს ხურციძენი (ყოფილი ხურსიძენი) საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ცხოვრობენ.

ხურსიძეთა თავდაპირველი საცხოვრისი ღიღებული მესხეთი ყოფილა. ხსენებული მხარე ისტორიულ წყაროებში ცნობილია სამი საბოგადო სახელით: მ ე ს ხ ე თ ი, შ ა მ ო ქ ა რ თ ი ლ ი და ს ა მ ც ხ ე - ს ა ა თ ა ბ ა გ ო. ისტორია გვაცნობს: მესხეთი ის მხარეა, სადაც "ჩვენი ყოფილი ცხოვრება აღყვავებულა. ჩვენს სიცოცხლეს იქ უსქელნია, ჩვენის სულის ძლიერების იქ აღუმართავს თაყვანისცემული ღრიანი, თითქმის იგია ჩვენის სულის აღმაგებულობის აკვანი... სწავლა, განათლება, მამულისათვის თავგამეტებული სიყვარული თითქმის იქიდან ყოფილა ჩვენს ქვეყანას ერთს დროს" (ყურნ., "ცისკარი" № 9, 1877 წ.).

ღიღი ილია ბრძანებდა: "მესხნი იყვნენ უკეთესი მცველნი საქართველოს საშფოლობელოსანი და სახელგანთქმულნი მეომარნი. როდესაც ჩვენ გარეგანნი მტერნი დაგვესხმოდნენ, იმათ თითქმის ყოველთვის უპირველესი აღგილი

ეკლესიის ბრძოლაში. მესხების სწავლა-განათლებაზეც ეს უნდა ითქვას. თითქმის მთელი საღმრთო წერილი და მამათა თხზულებები მესხების შრომაა. წმინდა ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელი (მეთერთმეტე საუკუნე) იყვნენ მესხი. განსვენებული ენიო და სწავლით პატრიკი კაკაბაძე (მეთერთმეტე საუკუნე), პოეტი სარგის თმოგველი, სახელოვანი შოთა რუსთაველი, "ვეფხის-ტყაოსნის" ავტორი (მეთორმეტე საუკუნის განულს) იყვნენ ავრეთვე მესხნი. არ ეთანხმებით სხვათა მრავალთა მესხეთის მწერალთა. რაღა თქმა უნდა, რომ თუ რომელსამე მხარეს შეუძლიან ამ გვარნი მაღალნიჭიერნი და დახელოვნებულნი მწერალნი შობოს, აქ საბოლოდ ხალხის ენაც კარგად უნდა იყოს შემუშავებული და სწავლა-ხელოვნება გავრცელებული" (ქურნ., "იერია", № 10, 1877 წ.).

ქრისტიანული რელიგიის ბასახეა და გავრცელება არა მარტო მთელი კაცობრიობისთვის, ბუნებრივია, ქართველი ხალხისათვისაც დიდი პროგრესული მოვლენა იყო. ქრისტიანობამ საქართველოში პირველად სამცხე-კლარჯეთში მოიკიდა ფეხი, ანდრია მოციქულის ქადაგებით, წმინდა ნინომაც ხომ თაყდაპირველად აქ, კურთხეულ მესხეთში შემოიგანა ჯვარი და იწყო ახალი სარწმუნოების ქადაგება და გავრცელება. ადრეულ შუა საუკუნეებში აქ აშენდა მთელს საქართველოში სიმშვენიერითა და მაღალი ხელოვნებით განთქმული ქრისტიანული ტაძრები და მოსასტრები. მათ შორისაა: ტბეთი, სახული, ანჩა, ოპიზა, ფარხალი... ახალციხის მხარის ეკლესიები: ქუმურდო, ზარზმა, ვარძია, ტულუში...

საქართველოს ისტორიიდან ცნობილია ავრეთვე, რომ აქ, "შეღიდური სანახაობის მხარეში" (ილია), იშვნენ. იზარდ-

ნეს, ერისა და სალხისათვის იღვაწეს მამაცი და სახელოვანი გვირის ხ უ რ ს ი ხ უ რ ს ი ძ ი ს ჩამომავლებმა. როგორ არ ვალიდოთ ხურციძეების გვირი წინაპრები, როცა მეცნიერულად არის დასაბუთებული, რომ შემოთ დასახელებული ქრისტიანული ეკლესიებიდან ორი – გ ა რ გ ი ა და გ უ ლ უ შ ი სახელოვანი ხურსიძეების ხელით არის აგებული. ისტორიაში იქრის ასოებით ჩაიწერა მათი სახელები. ვისაც გულით ვწადიათ ღვთივანდელი ხურციძეების გვარის ისტორიის გაცნობა, ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ ჩამოთვლილი და წიგნში დართული ღიღებულ ქართველია სია; მათ შორის საწყის ხუთ აღგილზე დასახელებულნი 800 წლის წინათ ცხოვრობდნენ, მოღვაწეობდნენ და ქართველი ერისათვის, საქართველოსთვის ღიღებულ საქმეებს აკეთებდნენ.

სულა ხურსიძე X საუკუნის პირია. ნახსენებია "ქართლის ცხოვრებაში";

იოანე სულას ძე ხურსიძე. ხურსი ნახსენებია იქვე "ქართლის ცხოვრებაში";

დავლაკ (დავითი თუ?) ხურსიძე, 1027-1080 წლები (იქვე);

ფარსმან ერისთავთერისთავი ხურსიძე, 1030-1100 წლები (იქვე).

მიაქციეთ ყურადღება, იოანე დავლაკისძე ხურსიძის შემდეგ ქართველთა წმიდათა წმიდა წიგნში "ქართლის ცხოვრებაში" ნახსენებ ფარსმან ხურსიძეს მიკუთვნებული აქვს ტიტული "ერისთავთერისთავი". ეს იმას ნიშნავს, რომ ადრე "ჩორჩანელად" წოდებული ხურსიძეები, შეათე საუკუნეში, სულა ხურსიძისგან დაწყებული, აღმევებას იწყებენ, მათი გვარი მაშინდელ საქართველოში, ეკონომიკურად და კულტურულად ყველაზე ძლიერ მხარეში – მესხეთში წამყ-

ვან და ერთ-ერთ ყველაზე გაელენიან გვარად იქცა (რასაკვირველია, მეფის ნება-სურვილითა და ხელდასმით); ისინი ამიერიდან ერისთავთერისთავები არიან.

უამრავ სასულიერო ხურსიძეთაგან უნდა აღინიშნოს შოთა (შიო) ხურსიძე, რომელიც მოხსენიებულია (უკვდაეყოფილია) გარშმის ეკლესიის წარწერაში. ჩვენთვის მთავარი ის არის, რომ არსებობს მოსაზრება იმის შესახებ, თითქოს "ექუსისტყაოსანი" შოთა (შიო) ხურსიძის მიერ არის დაწერილი, რის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

XVI საუკუნის ხურსიძეებიდან აღსანიშნავია ყასიმ ხურსიძე, ჭულების ტაძრის მშენებელი, ალბათ, იმავე ტაძარზე არსებული წარწერის შემოქმედი.

ახლა კი მკითხველის ყურადღებას მივაპყრობთ ასეთ ღეტალზე: XVIII საუკუნის დასაწყისიდან ხურსიძეთა ნაწილი მართლმადიდებლობიდან გადაიდა ქრისტიანული რელიგიის მეორე მთავარი მიმართულების – კათოლიკობის აღმსარებლობაზე. გასაგებია, თუ რატომ: ეს ის პერიოდია (XVII საუკუნე), როცა მაშინდელი დამპყრობი, რეაქციული, რელიგიური (მაჰმადიანური) ფანატიზმით შეპყრობილი თურქეთი მთელი ფრონტით გადმოვიდა ისტორიული კატაკლიზმებით გაუბედურებული, წვრილ სამეფოებად და სამთავროებად დაყოფილი, მეფეების, მთავრებისა და თავადების ერთმანეთთან ქიშპობით დაუძლურებული საქართველოს წინააღმდეგ, მისი სამხრეთი ნაწილის დიდი ტერიტორია დაიპყრო და მოსახლეობის უმრავლესობას ძალით მიაღებინა მაჰმადის რჯული.

თურქეთის დაპყრობითი პოლიტიკა და სამხედრო ოპერაციები საქართველოს ტერიტორიაზე გრძელდებოდა და ნაწილი ქართველებისა (ერისთავები, თავადები, გლეხები,

ხელოსნები...) მესხეთიდან საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გარბოდა. ქრისტიანად დარჩენისა და უობიექტურად უცნებლად გადარჩენის ერთ-ერთი გზა იყო ქართული მართლმადიდებლობიდან დასაჩქარებით ევროპულ (რომაულ) კათოლიკურ აღმსარებლობაზე გადასვლა. სწორედ ამიტომ იყო, რომ ხურსიძეთა გვარიდან მცირე ნაწილში, ვისც თავის გადარჩენის მიზნით საქართველოს სხვადასხვა მხარეში არ გაიხიზნა და მესხეთში დარჩა, კათოლიციზმი მიიღო. ე.ი. თურქეთის სამხედრო აღმინისტრაციისათვის თუ ასლამური რელიგიის წარმომადგენლებისათვის სელექციებელი გახდა. აქედან მოყოლებული ხურსიძეების სახელოვანი გვარის ეპიცენტრი შტო-გვარი ხ უ რ ს ი ძ ე - ი ს ა რ ლ ო ე ი. ამის ამტკიცებს სულთან მაჰმად მკორის მიერ 1732 წელს გაცემული ფარმანი, სადაც მოხსენიებული არიან: აკათანდილ, ლუკა, იოსები, ალექსანდრე...

ხურსიძე-ისარლოვების საცხოვრებელი ადგილები

ხურსიძეები ისტორიული ბედუკუღმართობის გამო გაიფანტნენ საქართველოს სხვადასხვა ადგილას, ქალაქებსა და სოფლებში, სადაც ისინი დღესაც ცხოვრობენ. მხოლოდ გვარმა იცვალა სახე, როგორც აღვნიშნეთ, ასო ს შეიცვალა ასო ც-თი და ნაცვლად "ხურსიძისა" გახდა "ხურციძე" ქართული ტრადიციისამებრ ჰქონდათ შტო-გვარებიც...

ხურსიძე-ისარლოვების და ხურციძეების საცხოვრისებია: ქვაბლიანი, ადიგენი, ოլღიჭა, ახალციხე, ასპინძა, ხაძელი, ქუთაისი, თბილისი (თბილისი), ქორეთი, სავანი(ე), დარკვეთი, ცხვედი, ვანი (სოფლები: ესუთი, ბაბთია, ბაგინეთი, გორა, წეინდარი, ამაღლება, დიხაშხო, სალხინო, საპრიხია, რომანეთი), თეთრი წყაროს რაიონში: არაშენ-

და (ქვემო ქართლი), სოფ. სამშვილდე, სალირაშენი, კოლა (უცხოერია ერთ შემამჟღავნებს).

***

ზაქარია ჭიჭინაძე წიგნში "ისტორია ხერხაძის (ასარლოების) გვარისა და შთამა (შთამო) რჩომაყელი" მიუთითებს, რომ გვარი "ხერხაძე" უძველეს ქართულ გვარებს მიეკუთვნება: ეს გვარი უხსოვარი დროიდან არსებობს, იმის მიუხედავად, რომ ამ გვარის არსებობის დამადასტურებელი ოფიციალური ცნობა IX საუკუნით თარიღდება. "თქმა სახელი ხერხაძე ანუ ხერხი უნდა იყოს წარმართობის დროს შესმისში და დარჩენილი იმ პირველ. ვისაც ის მოეხახელწოდებოდა... ხერხი (960-1027 წწ.) არის ძველი გვარი ქართველთა, ისეთივე ძველი, როგორც ჯაყელი, ხოსროვი, ორბელი, ერისთავი, ამანელი, ბალური, აბესალომაძე და მრავალიც სხვა ამგვარნი" (ზ. ჭიჭინაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 4).

ქართველთა და ბერძენთა შორის ატეხილ ომს ვახუშტი ბატონიშვილის ისტორიაშიც დიდი ადგილი აქვს დათმობილი. ამ ომის მთიაწილე ქართველ მებრძოლთა შესახებ მას ხელთ არსებულ ცნობებს იგი განცვიფრებით ახსენიებს. მცენიერი აღტაცებულია მთიხლარით, ვახუშტის განცვიფრება ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა იმით, რომ იგი ომის მთავარ გმირად ხერხი-ხერხაძეს ასახელებს, რომელიც, მთხრობელის თქმით, გმირულად იღუპება მტერთან პირისპირ შებმისას.

ქართველთა გამარჯვება სკლიაროსის (სკალაროსის) ჯარზე შთაბეჭდავადაა აღწერილი "ქართლის ცხოვრებაში". ამ გმირული გამარჯვების აღმნიშვნელია აგრეთვე

ზარშმის ეკლესიის წარწერაც, რამაც ჩვენს დრომდე დაუ-ზიანებლად მოაღწია. ეს იმიტომ, რომ ტექსტში სათქმელი (დღეს ეკლ. დოკუმენტად ქცეული) დაკავშირებულია ხურ-სიძეების გვარის ისტორიასთან. აი, რა წერია ზარშმის ეკლესიის ერთ კედელზე:

"ქ. სახელითა ღვთისათა და წმიდისა მღვდის მშობე-ლისა მეოხობითა მე, ივანე ძემან სულასაძემან, აღვაშენე წმიდაი ეკლტერი, მას ყამსა ოდეს საბერძნეთ ვაღდა სკალარისი: დავით კურაგ-ძალაგი აღიღეს ღმერთმან, - უშველა წმიდათა მეფეთა და ჩვენ ყოველნი სალაშქროთ წარვყვალინა, სკალარისი გავაქცეთ მეძორსქობანს (მე-სოპტანისა), რომელსა ჰქვიან ხარისანი აღვალისა, რომელსა ჰქვიან სარკენისნი, მოწესეთ ყოველნი ტასტი" (ბ.ჭოჭისაძე, ისტორია ხურსიძის (ისარლოვის) გვარისა და შოთა (შიო) რუსთაველი, თფ. 1904).

• მეშოთი მოხსენიებული წარწერა საინტერესო დოკუმენტია ჩვენთვის იმ მხრივაც, რომ ტექსტში მოხსენიებული ივანე სულასძე, ანუ სულამეილი, გვარად ხურსი ანუ ხურსიძე ყოფილა. ივანე სულასძე მონაწილეა ზარშმის მონასტრის მშენებლობისა და ეს წარწერაც (ქანდაკეთი) თვითონ ამოუ-ჭრია. მას მონაწილეობა მიუღია ავრეთვე სკალიაროსის წინააღმდეგ გალაშქრებაშიც (იხ. ვახუშტის ისტორია, ტ. I, თბ., 1885 წელი).

თანამედროვე ქართველი მკითხველისათვის ნათელი როდია ის, თუ რამდენად დიდი მოღვაწე და ეროვნული ფიგურა იყო ივანე სულასძე იგივე ხურსიძე სრულიად საქართველოში და მშობლიურ კუთხეში – მესხეთში. უნდა

გაეთავალისწინოთ ისიც, რომ მას მოსაწალეობა მიულია ქართველთა ორ დიდ ლაშქრობაში (იხ. ქვემოთ): იგი თანამედროვეა დიდი დაეით აღმაშენებლისა და ფაქტიურად იღვაწა მთელი სიცოცხლე (1014-1077 წლები). უნდა აღვნიშნოთ ის გარემოებაც, რომ ხურსიძე საბუთებში ერისთავადაც იწოდება. ისტორიულ საბუთებზე დაყრდნობით, ცნობილი ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე წერს, რომ შარშის გაძრის ქველის წარწერაში მოხსენიებული ხურსიძე ერისთავი ხურსიძეაო. ამ ხურსიძის გარდა, რომელსაც სახელად იეანე ერქვა და სულასიძე უნდა ყოფილიყო, არის კიდევ სხვა ფარსმან ერისთავი, რომელიც ასევე ხურსიძე იყო და რომლის სახელიც მოიხსენიება შარშის გაძრის ეკრცხლის ჯვარზე. ეს ჯვარი ოქროშია დაფერილი.

ხურსიძეების გვარის წევრთა მნიშვნელობას და ერისთავობას "ქართლის ცხოვრება" აღიდებს, მაგრამ ამ მხრივ უფრო მნიშვნელოვანია იყერიის მოსახერის ქართული გუჯარი, რომელიც XI საუკუნეში (1021 წელს) არის შედგენილი. XI საუკუნის მოღვაწე, სამცხის წარჩინებული ფეოდალი ხურსი მეფე გიორგი I-ის ერისთავი იყო, დაიღუპა ბიზანტიელებთან ბრძოლაში 1021 წელს. ბრძოლა საქართველოსა და ბიზანტიის ლაშქარს შორის გაიმართა 1021 წელს შირიმთან (ახლანდელი თურქეთის ტერიტორია). ბიზანტიის იმპერიასა და საქართველოს შორის ეს შეტაკება აღრე თუ გვიან უნდა მომხდარიყო, და იგი მოხდა. შეტაკების მიზეზი შემდეგი იყო: ბიზანტიის იმპერიას არ აკმაყოფილებდა საქართველოსაგან მისი სიუზერენობის ფორმალური აღიარება და ცდილობდა, რეალურად და რაც

შეიძლება ხელსაყრელად განვმტკიცებისა თავისი მდგომარეობა, რისთვისაც XI საუკუნის დასაწყისში სამხრეთ ტაოს ტერიტორიაზე დაჭით კურაპალატის ყოფილი სამფლობელოებიდან ი ბ ე რ ი ი ს თ ე მ ი[1] შექმნა. ბიზანტია ყველა საშუალებით ცდილობდა შეეკავებინა საქართველოს გაერთიანებისა და ბრძა-გაძლიერების პროცესი. დაეცუსტებინა ეს ქვეყანა და ხელში ჩაეგდო მისი მიწები.

შარიშთან ბრძოლაში ქართველი ფეოდალები თავიანთი ჯარებით ერთმანეთთან შეკავშირებულები გამოვიდნენ მტრის წინააღმდეგ. აღნიშნული გუჯარი ამ ბრძოლას ასე აღწერს: "1021 წელს – და ამის გიორგისა მეფობისა მეშვიდე წელსა გამოვიდა ბასილი ბერძენთა მეფე [ამას გიორგი მეფესა შეღა], ხოლო ესე გიორგი განვიდა ლაშქრითა დიდითა და დაიბანაკეს ქვეყანასასა ბასიანისასა, ორთავე მრაყალ ღღე და არა მიეიღეს ბრძოლად ერთმანეთისა [შეღა, არამედ] მოერიდა გიორგი [და] მოვიდა და დაწვა ქალაქ ოლთისი [გამოუღგა კვალსა] და მოუღგა უკანა მეფე ბერძენთა და შეკრიბეს რა უკანა მავალნი გიორგისანი [და წინა მავალნი ბასილისანი ლაშქარნი] იქმნა ბრძოლა დიდი სოფლისა მას შინა, რომელსა ეწოდების შარიშთა, და მრაელად მოისრნეს ორკერძოვე და მოიკლნეს [მუნ-დილნი] ერისთავნი: რატი, ძე ლიპარიტისა, ხურსი და სხვა".

---

[1]. ბიზანტიელთა და ქართველთა სამწლიანი ომი (1021-1023 წლები) ბიზანტიელთა გამარჯვებით დასრულდა. ამ ტერიტორიებიდან რომლებიც ბიზანტიამ დაიპყრო, შეიქმნა ორი "თემი" (ოლქი) ბიზანტიის იმპერიის ფარგლებში: ერთი – თეოდოსიოპოლის თემი, რომელიც მოიცავდა დასავლეთ ეკვრატის ხეობაში მდებარე ბოსპა (არშრუნის მხარე); მეორე ოლქი, რომელსაც ბიზანტიელებმა დაარქვეს "იბერიის თემი" – თავის ფარგლებში აერთიანებდა სამხრეთ ტაოს სამფლობელოს, საკუთრივ ბასიანის მხარეს და არაწანის ხეობის მაძღებარე რაიონებს...

ე. დიმიტრი ბაქრაძე ფარსმანს ხურსიძის შესახებ წერს, რომ ეს ფარსმან ერისთავ-ხურსიძე ის პირი უნდა იყოს, რომელიც მოხსენიებულია სამცხე-საათაბაგოს მღვდელმთავართა სამწყსოს სიაში. მაგალითად: "ერისთავი-ერისთავ-ხურსიძესა აქუს ღობერში, სახაფლაოსი, შინასტრითა და კარის ეკლესიითა" (ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, წგნ. I, თბ., 1940). ცნობილი ისტორიკოსი მას XI საუკუნის შესწევი დროის პიროვნებად მიიჩნევს. ალბათ, ეს ფარსმან ერისთავ-ხურსიძე არის ის ხურსიძე, რომელიც შარშნის ეკლესიის შესახებ წარწერაშიც მოიხსენიებათ. წარწერაში ვკითხულობთ: "აგარიანთა პირის დამყოფელსა ხურსიძესა პატრონისა ფარსმანისა სულსა მისსა განუსვენოს და შეუნდოს ღმერთმან მღვდელთა მთავარი მთავრობისა ხურსიძესა პატრონის მიტროპოლიტობასა სფარიდღინისასა ქრს სი".

ისტორია გვამცნობს, რომ ხურსიძენი ერისთავები იყვნენ და სახელის ეტიმოლოგიაშე ქვეყნის მართვა-გამგებლობაშიაც აქტიურად მონაწილეობდნენ. ვახუშტი ბატონიშვილი წერს: "წესი ერისთავთა იყო შეუთსა მიერ განწესება ქვეყანათა და ამის მიერ მოურნეობა. საჭურთალი და ლაშქარნი მის ქვეყნისანი მის ქვეშე იყუნეს და იგინი მოჰკრეფდეს სარკოა სამეუოთა, ხოლო ესე ერისთავი დაიდგინებოდნეს – მთავარნი და წარჩინებულნი და ძენი შეცვალებით; ხოლო წესი მთავართა იყო გვარი და შთამომაელობა, ქართლოსიანობა და პატივი მისი, ხოლო უკუეთუ შეუთსა წესსა შინა იყო იგი, რათა აქუნდეს ჩამომაელობა და გვარი იგი და ამის მიმართ ცხენ-ქალაქი, სიმაგრე და ხელობანი, და თვისიერ ამისა არა ისახელებოდა მთავრად, ხოლო ამნაურსა აქუნდა გვარი და ჩამომაელობა და

სიმაგრე რაიმე მისათა ანუ ბარითა და ღაბნებითა და ძალღეას გამოსვლა მარქაფითა, კარეთითა, და მათითა გაწყობილებითა და თვინიერ ამისა არა აწოღებოდა აწსაურად" (ვახუშტი, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, იბ., გვ. 25).

ისტორიამ არა ერთი მაგალითი იცის იმისა, როცა ამა თუ იმ გვარის წარმომადგენელმა ერისთაობა ან თანამდებობა მიიღო და იგი (წოდება თუ თანამდებობა) გვარად ექცა. ვახუშტი ამის თაობაზე აშბობს: ძველ საქართველოს მთავრების და მოხელეების თავდაპირველი თანამდებობის სახელი XII საუკუნეში, თამარ მეფის დროს, მთის გვარადაც ეწოდათო. ნათქვამის საილუსტრაციოდ ვახუშტის შემდეგი მაგალითი მოჰყავს: საბერეელოს დადიან მთავარი, რადგანაც კარიდან კარს დადიოდა, გვარადაც დადიანი ეწოდათ. ეს მოსაზრება მეტად მიაზიტურია, რის გამოც ბევრმა მეცნიერმა არ გაიზიარა. ხურსიძეები ამ მხრივაც გამორჩეულნი ყოფილან. ისინი, ბევრი თანამემამულისაგან განსხვავებით, ერისთავობასთან ერთად არც ძველ შამპაპურ გვარს იეიწყებდნენ. როგორც ჩანს, ერთი ცდუნებისათვის მეორე აღარ მიუმატებიათ. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ხურსიძეთა წინარე გვარი ჩ ო რ ჩ ა ნ ე ლ ი ყოფილა. ისინი სათაყვს ა ხ ა ლ ი ჩ ო რ ჩ ა ნ ე ლ ე ბ ი დ ა ნ იღებდნენ.

ჩორჩანელები VIII-XI საუკუნეებში სამხრეთ საქართველოს (სამცხის) წარჩინებული ფეოდალები იყვნენ. გვარის ფუძე ჩ ო რ ჩ ა წარმოსდგა ჩორჩანელების სამფლობელო ციხე ჩ ო რ ჩ ა ნ ი დ ა ნ. ამ საგვარეულოს წარმომადგენელი გიორგი ჩორჩანელი პირველად IX საუკუნის ლიტერატურულ წყაროში – "სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში" იხსენიება. მაგრამ საყვარადღოა, რომ საგვა-

რეულო არსებობდა VIII საუკუნიდან მაინც. ჩორჩანელების საფეოდალო მიიცავდა ჩორჩანის, ბანაკის და სხვა მრავალ ადგილს (ახლანდელი ადიგენის რაიონის ტერიტორიაზე), სადაც ჰქონდათ ბაძრები (სასახლეები) და ციხეები. ჩორჩანელი აქ მხარის დიდი მთავარი იყო. მისი ვასალები ("საკუთარნი", "წინაშემდგომელნი") კი იყვნენ მცირე მთავრები. ეპარქიულად ჩორჩანელების საფეოდალო შედიოდა მაწყვერლის (აწყურის ეპისკოპოსის) სამწყსოში. გიორგი ჩორჩანელის დახმარებით ცნობილმა საეკლესიო მოღვაწემ სერაპიონმა ააშენა ბარშმის მონასტერი. ამ მონასტერს გიორგიმ საკმაოდ ვრცელი ტერიტორია უწყალობა.

გიორგი ჩორჩანელი იყო ძველი ჩორჩანელების საგვარეულოს უკანასკნელი წარმომადგენელი. მას შემდეგ არ დარჩენილა და ყმა-მამული დაუტოვა მირიან ბაქლაურიძეს გათხოვილ თავისი ქალის – ლაგვარას (მონაზვნობაში თეკლას) შთამომავალობას. იქით ჩორჩანის (ციხეს და მის მიდამოებს), როგორც ჩანს, დაეუფლა ლაგვარას უფროსი ვაჟი სულა, რომელიც გახდა ახალი ჩორჩანელების საგვარეულოს ფუძემდებელი. შუათანა ვაჟმა ბეშქენმა საფუძველი დაუდო ჯაყელთა საგვარეულოს, სოლო უმცროსი ვაჟის სახელი – დაკლაკი იქცა ბაქლაურიძეების მესამე განშტოების სახელწოდებად. წარმოიქმნა დაკლაკია გვარი. ახალი ჩორჩანელების (სოლო შემდეგ მათი შთამომავალი საგვარეულოს, სურსიძეების) საგვარეულო მონასტერი გახდა ბარშმა (ძლებარეობს სოფელ ბარშმაში, ადიგენის რაიონში, სადაც ახლაც შემორჩენილია გუმბათოვანი ეკლესია, საძრეკლო და რამდენიმე ერთნავიანი სამლოცველო, ზოგი დანგრეულია. სერაპიონის დროინდელი

ეკლესია (რომელსაც დღემდე არ მოუღწევია) სუროთ-მოძღვარ გარბანელს აუშენებია და, როგორც ჩანს, მარგა-ვე საეპისკოპოსო ყოფილა. ზარზმის ახლანდელი გაძარცული და საბრალოდ აკუწულია მოგვიანებით – XIV საუკუნის პირველ წლებში სამცხის მთიანეთის ბეგმა შანდაგურთუხუცესის მშართველობის დროს. უძველესი ისტორიული ნაშთია ერთ-ერთი საძლოცველოს შესასვლელის თაღში ჩასმული, უფრო ადრე არსებული შენობიდან გადმოტანილი X საუკუნის ბოლო ათწლეული წლების წარწერა, რომელიც მოგვითხრობს დაითი III დიდი კურაპალატის გალაშქრების ამბავს ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ.

X საუკუნის 70-იან წლებში ზარზმაში ეკლესია ააგო ახალი ხორხანელების წარმომადგენელმა, ბარდა სკლი-აროსის წინააღმდეგ ქართველთა ლაშქრობის მონაწილემ იქნებ სულას ძემ (ალბათ, "სუროთის ზარზმელის ცხოვრე-ბაში" მოხსენიებული სულა მირიანის ძის ვაჟმა). იქნებ სულას ძის შეილიშვილები ყოფილან XI საუკუნის შუა ხანების მოღვაწეები – ძმები გიორგი ხორხანელი და ფარსმან თმოგველი სულას ძენი.

ზარზმის ტაძარი უპოქის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლია, რომელშიც მკაფიოდ ჩანს მაშინდელი ქართული სუროთმოძღვრების დამახასიათებელი ზოგი ახალი ნიშა-ნი (ცვლილებები შენობის პროპორციებსა და ფასადთა მორთულობის სისტემაში). მნიშვნელოვანია კედლის მოსა-ტკეპნობაც, სადაც ტრადიციულ სიუჟეტებთან ერთად შე-მოხატულია სამცხის მფლობელ ჯაყელთა (სარგისის, ბექა მანდაგურთუხუცესის, სარგის II-ისა და ყუარყუარეს), აგრეთვე XVI საუკუნის ისტორიულ პირთა (იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის, სერაპიონ ხერცეძისა და სხვ.) პორ-

ტრეტები. ბარიშის მონასტრის საძრეკლო ერთ-ერთი ყველაზე საქართველოში და ამ ტიპის ქართულ ნაკეთობათა საუკეთესო ნიმუშია. 1577 წელს ბარიშის ახალმა მფლობელებმა – ს უ რ ც ი ძ ე ე ბ მ ა, რომელთაც ეკლესიის ძველი მხატვრობის ნაწილი ახლით შეცვალეს, საძრეკლოს პირველ სართულს თაღები ამოუშენეს და იოანე მახარებლის ეკლესიად აქციეს. XX საუკუნის დასაწყისში სატარდა ბარიშის ეკლესიის, საძრეკლოსა და კედლის მხატვრობის რესტავრაცია, რის შედეგად მხატვრობის კოლორიტი და ნაწილობრივ-სტილისტიკური თავისებურებაც შეიცვალა.

ბარიშის მონასტერი მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო კერა იყო საქართველოს ამ მხარეში, რასაც ნათლად მოწმობს ბ ა ს ი ლ ი შ ა რ შ ე ლ ი ს ჰაგიოგრაფიული ისტორია. გერმანე ბარიშელი, ბენედიქტე ბარიშელი და სხვათა სახელები (ის. ვახტანგ ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება. XIII-XVI სს., თბ., 1955; მისივე, სამცხის ხუროთმოძღვრული ძეგლები, თბ., 1970).

გიორგი ჩორჩანელი უკანასკნელია წყაროებში მოხსენიებული ახალი ჩორჩანელებიდან. შემდეგ (რის შესახებაც მეტად უკვე ვისაუბრეთ) ახალი ჩორჩანელების სამფლობელოს დაეპატრონა ამ საგვარეულოს ახალი განშტოება – ხურსისძენი. ნაწილი ამ სამფლობელოსი გადაეცა ც ი ხ ი ს ჯ ვ ა რ ე ლ ე ბ ს, ჯ ა ყ ე ლ ე ბ ს ა და დ ა კ ლ ა კ თ ა – ახალი ჩორჩანელების სხვა განშტოებებს.

XVI საუკუნის საბუთი – "სამცხე-საათაბაგოს თაყაღთა ნუსხა" – გვამცნობს, რომ ერისთაყოერისთაე ჩორჩანელის მამული ექუთვნოდა ხურციძეს. ხურციძეთა გვარში გადმოვიდა ახალ ჩორჩანელებში გავრცელებული საგვარეულო სახელები: სულა, გიორგი, ფარსმანი და სხვ. ხურსის

ძენი იყვნენ სამცხის ერისთავ-სპასალარებისა და შემდგომში მთავარ-ათაბაგების – ჯაყელების ვასალი ფეოდალები და წყაროებში XV საუკუნემდე არ მოიხსენიებიან. ზარზმის მონასტრის კედელზე არსებული ეპიგრაფიკული მასალა ბევრ რამეს გვაიმცნობს, მათ შორის იმასაც, რომ მონასტრის წინამძღვრები, ისევე როგორც მაწყვერლები (აწყურის ეპისკოპოსები). სწორად ხურსიძენი იყვნენ. მხედრობაზე ცისკარჯვარელ-ჯაყელმა XVI საუკუნეში ზარზმის მონასტერი თავისი ყმა-მამულით აწყურის საყდარს შესწირა. გამოთქმულია მოსაზრება (ვახტანგ ბერიძე), რომ სწორედ XVI საუკუნეში, როდესაც აწყურის ეპისკოპოსი ხერეიძე გახდა, ზარზმის მონასტერიც ხერეიძეებს გადაეცათ. იმავე მოსაზრების მიხედვით, ზარზმის კლესიაში გამოსახული "შამა სერაპიონი" არის არა მონასტრის დამაარსებელი სერაპიონ ზარზმელი, არამედ XVI საუკუნის ზარზმის წინამძღვარი სერაპიონ ხერეიძე.

თურქების მიერ სამცხე-საათაბაგოს დაპყრობის შემდეგ, XVI საუკუნის ბოლოს, ხერეიძეები სამცხიდან დასავლეთ საქართველოში (ვანი, რაჭა, ქუთაისი...) გადასახლდნენ. ხერეიძეებმა მშობლიური კუთხის (სამცხე) მოსაგონებლად ზარზმის მონასტრის სიძველეები შემოქმედში (გურია) გადაიგანეს და იქ ააგეს ახალი ზარზმა (ის. ქართული ენციკლოპედია, ტ. 11, თბ., 1987, გვ. 518).

.ბაქარია ჭიჭინაძე ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით ასეთ ცნობებს გვაწვდის. ხერსიძენი IX საუკუნიდან მოყოლებული ვიდრე XVI საუკუნის გასვლამდე ყველგან ხერსიძეთ იწოდებოდნენ. ამას ფიქრი არ უნდა, რადგანაც ცნობები გვაქვს, რომ სამცხე-სათაბაგოს პირველი აკლებისას, ქვაბლიანიდან ხერსიძის ოჯახის რამდენიმე წევრი

გურიაში გაღასახლებულან, რაღგანაც ქვაბლიანი გურიაშეც ერთობ ახლოს არის. ქვაბლიანიდან პირდაპირ ორი გზა გადის გურიაშეც და იმერეთშიაც. ასე რომ, იმერეთს, გურიას და სხვაგანაც, თუ სადმე ხურსიძენი მოიპოვებიან, ყველა ისინი ქვაბლიანიდან არიან გასულნი სხვადასხვა დროს (საწყასმა ჩვენია. – ი. ა.), სხვა გაჭირვების და მტერთა თავდასხმის გამო, საღაც ისინი შეძლეს დროებში აქა-იქ მეცხვარობის გამო, თავიანთ გვაროვნობის ცნობას და აზნაურის შეილობასაც აუცილებლად დაჰკარგაელსენ. ამას ფიქრი არ უნდა, ეს ასე იქნებოდა" (ის. გ.ჭიჭინაძე, იქვე).

რაღგანაც წოლებათა ძიებისათვის აღარაფის საჭიროდა, ყოველმა ოჯახის წევრმა კარგად იცოდა, თუ იგი ვისი შთამომავალი იყო და ვისი ოჯახის შვილი, სოლო შემდეგში ქამთა ვითარება რას მოიტანდა, ამაგზე ფიქრი არ ჰქონდათ, აქ წოლების რჩევა რაღა დროს იყო, როცა დაღგა ქართველთა განკითხვის დღე – საქართველოს მოსპობის და უცხო ქვეყნებში გადასახლების, სპარს-ოსმალთა პოლიტიკას ეს შეადგენდა, ქართლის ამოწყვეტა, კახელთ გადასახლება, ამიტომაც გადაასახლეს სპარსეთს 120 ათასი ქართველი!" (ის. გ.ჭიჭინაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 24-25).

იგივე ავტორი ზარზმის ეკლესიასთან დაკავშირებით აღნიშნავს: "ზარზმის ჯაჭარს რომ ხურსიძის გვარის წევრნი ხშირად ჰყოლია წინამძღვრად და შემწირველად, ამას ამტკიცებს შემდეგი: საშუალო საუკუნეებში, როდესაც სამცხე ოსმალთაგან, თურქებთაგან დევნამ მოიცვა, ამ დროს ზარზმის ეკლესიაც დიდს გაჭირვებაში ჩაეარდა, ეკლესიას

ხშირად მაჰმადიანები ესხმებოდნენ იავს და სძარცვავდნენ. უკანასკნელ ხანებში საქმე ისე გაჭირდა, რომ მცირერიცხოვანი ქართველობა დაძლეულ, მოუცილებია რამ ძვირფასი ნიშნები წარწმის ეკლესიისა გურიაში გადაიტანეს და ყველა ისინი შემოქმედის საკათალიკოსო ტაძარში დაასაფლავეს, მაგალითებრ: შემოქმედის ტაძარში ღვთმშვ დაშთენილია წარწმის ეკლესიის მშვენიერი ოქროს მღვიმის მშობლის ხატი, რომლის წარწერა მოწმობს შემდეგს:

"წ. მოვჭედეთ: და: შეეამკეთ: ხატი: ესე: ყოვლად: წმიდისა: ჩვენ: ხურსიძის ქალმან: ბაბამან: თამარ: ქმარ-შეილითა: სალღვრძელოთ: და სალხრად: სულისა: ჩვენისათეის:".

წარწერის ერთი ადგილის მახლეით ეკრცხლის ჯვარი შეუნახავს წარწმის წინამძღვარს გაბრიელ ხურსიძეს (იგი XIII საუკუნის მოღვაწეა). აი, წარწერის ეს ადგილიც: "აძის მოიჭედესა: ხურსიძესა: წარწმისა: წინამძღვარს: გაბრიელსა: შეუნდოს ღმერთმან:".

აძაეე გაბრიელ ხურსიძეს აუგია წარწმის ტაძარი. ტაძრის სამრეკლოს კედელზე გაკეთებულია წარწერა:

"ამისა აღმაშენებლისა წინამძღვრისა ხურსიძესა გაბრიელსა შეუნდოს ღმერთმან, მისსა ღვღასა პაგრონისა იავნესა ასულსა გულადამ ყოფილსა გ ა ი ა ნ ე ს შეუნდოს ღმერთმან, მ ი ს ს ა მ ა მ ა ს ა შ ო თ ა ყ ო ფ ი ლ ს შ ი ო ს შ ე უ ნ დ ო ს ღ მ ე რ თ მ ა ნ".

ეკრცხლის ჯვარს, რომელიც ოქროშია დაფერილი, ირგელივ ხუცური ანბანით შემდეგი შინაარსის წარწერა აქვს:

"ყოველთა სახლისა ჩვენისათია და მოსახსენებლად სულისა კურთხეულთა მშობელთა და ძმათათეის ყოველთა სახლისა ჩვენისა გარდაცვალებულთათეის დაეხსენ

წმიდასა საყდარსა შარშმას მამულსა ჩუენსა წინაშე საგსა ფერისცვალებისასა. აწ ჩუენით დიდებულით მღვდელთ-მთავარ-ეპისკოპოსმან ამბანურებლეთ ხერციძესა და სახახლესა უფალსა ჩუენსა იესო ქრისტესსა მოხსენებით წმიდასა სახელითა უფლისათა მე ფარსმან ერისთავმან ძემან კურთხეულისა ცათა მბაძაულის იოანე დაკლაკისძემ (ხერსიძემ) ჩუენ შექმნეს ეს მარჯუენის ლიცული ჩემთა შეცთომისა ჩემთათვის".

"ფარსმან ერისთავი დაკლაკისძე გვარად ხერსიძე არისო" (იხილეთ დ.ბაქრაძის "მოგზაურობა გურია-აჭარაში". 1878 წელი). ამასვე ამტკიცებს შარშმის ტაძრის სამრეკლოს კედლის წარწერა: "აგარიანთა პირის დამყოფელისა ხერსიძისა პატრონისა ფარსმანისათა სულსა მისსა განუსვენოს და შეუნდოს ღმერთმან".

ვალერი სილოგავა გამოთქვამს მოსაზრებას, რომ თითქოს გიორგი I-ის დროს მოღვაწე ერისთავი ხერსიძე და ქორეთისა და საკანეს ეკლესიებზე (ახლანდელი სახერის რაიონი) 1000 და 1046 წლებში გაკეთებულ წარწერებში მოხსენიებული ხერსი ერთი და იგივე პიროვნებაა იყო. "შესაძლოა, – მიუთითებს იგი, – ქორეთის, საკანისა და დარკვეთის (დღევანდელი სახსერის რაიონისა და ჭიათურის საქალაქო გამგეობის ტერიტორია და რაიონი) ეკლესიების XI საუკუნის წარწერებში მოხსენიებული ძმები: ერისთავთერისთავი გიორგი და ერისთავი ხერსი (მშობლებითა და შვილებით) ხერსიძეთა საგვარეულოს წარმომადგენლებს იცნენ. ასეთ შემთხვევაში უნდა დავასკვნათ, რომ XI საუკუნეში ხერსიძეებს საშუალობელოები ჰქონდათ არა მარტო სამცხეში, არამედ ლიხთიმერეთშიც" (იხ. ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი, წვნ., 2, ნაკე. 1, შეადგინა ვ. სილოგავამ, თბ., 1980).

როგორც ნათქვამიდან შეიტყობთ, ხ უ რ ს ი ძ ე ნ ი ე რ ი ს თ ა ე ო ბ ა მ ღ ე უშუალოდ კი არა, თვითონ კი არა, მოკუთხებით კი არა, არამედ მათი წინაპრების, ძლიერი ფეოდალების – ჩორჩანელების წიაღიდან მოვიდნენ. ხურსიძეთა გვარის წევრთა სახლი და აღგილები წ·ურწყაბელის საეპისკოპოსო საბრძანებელში ყოფილა მოქცეული. ქართველთ შეფის კურთხევის დროს, სვეტის ცხოველის გაძარში, მღვდელთმთავრებს შორის, წ·ურწყაბელი მეცამეტე აღგილს იჭერდა, მგბეერის ქვეშთ დაბრძანდებოდა, წ·ურწყაბლის ეპისკოპოსის შემდეგ დასხდებოდნენ კიდევ ოცდაორი ეპისკოპოსი. აქედან ჩანს, რომ წ·ურწყაბელს – კათალიკოსის შემდეგ, არქიეპისკოპოსებს შორის მეორე აღგილი ჰკავებია. ხ·ურსიძეების საბრძანებელი დიდი რომ ყოფილა, ამას მათი ქართულ ისტორიულ წყაროებში მოხსენიებაც აღასტურებს: ერთ-ერთი უძველესი წყარო გვამცნობს: "წ უ რ წ ყ ა ბ ლ ი ს ს ა მ წ ყ ს ო: ხ·ურსიძის სახლი, სულა ბოცოთ-ხეყი ხერთვისის ქვეყით იმისია" (ექვ. თაყაიშვილი, არსეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წიგნი პირველი, ტფ., 1907; გვ. 77). სხვა წყაროში წერია, რომ: "წ·ურწყაბლის სამწყსოს შეადგენს სრულიად ხ·ურსიძის სახლიო". ასე რომ, ქართული ისტორიული წყაროები ხ·ურსიძეებს მიიჩნევენ წ·ურწყაბლის საეპისკოპოსო კათედრის მფარველად და პატრონად. "რაღგანაც ხ·ურსიძეების საგვარეულოს ებარა მთელი კუთხის გამგეობა და ერისთაობა, უეჭველია, ამ კუთხის მოწინავე საეპისკოპოსო ტაძრის მღვდელ-მთავრის გამგეობის წევრები და განკარგულების გამცემი პირებიც (ხ·ურსიძეები) იქნებოდნენ. უამისობა არ შეიძლებოდა. დრო და დრო ხ·ურსიძის გვარიდან ხსენებულ სამწყსოს კარგი, ღიღად

ნიჭიერი და თავგამოღებული მფარველობაც ეყოლებოდა. სწორედ ხერხიძის გვარიღან მოეკლასებოდა აღნიშნულ საეპისკოპოსოს გამოსვენილი მფარველი და პატრონი, რადგანაც ძველად ქართველ დიდებულთა შორის დიდ ქებაში იყო ის პირი, ვინც აღნიშნულს საქმეებას საიმახურს მისდევდა, გვარში ასეთი კაცი სახელიკაცებს სანთლად მიაჩნდათ" (ილ. ზ. ჭიჭინაძე, ისტორია ხერხიძის (ისარლოეის) გვარისა და შთამა (შიო) რუსთაველი, თფ., 1904).

ხერხიძენი უსხოვარი დროიდანვე წოდებულნი ყოფილან. როგორც "შუხიოენე, ანუ ჯაბახანის (იგულისხმება დღევანდელი არგილერია – ი.ა.) გამგენი-ერისთავნი". ქართულ ისტორიულ წიგნებში ერთობ ბევრ ადგილას მოიხსენიებიან მაშინდელი მეცხოვნე-აზნაურნი, ხელისუფალნი-აზნაურნი, მეცხოვნე-აზნაურ-ერისთავნი და ასე შემდეგ. ყოველი კუთხისა და ყოველი საბრძანებლის გამგე ერისთავად იწოდებოდა. ამიტომ იყო, რომ მარგო სამცხე-საათაბაგოში რამდენიმე ერისთავი იჯდა. XII საუკუნის დამლევს, თამარ მეფის დროს (დაახლ. 1160-1213, სხვა ცნობებით, 1210, 1207), ამ გარემოების ჯეროვანი ყურადღება მიექცა და აზნაურთა შორის ერისთავობა მოისპო. ერისთავობა მიენიჭებოდა მხოლოდ მოწინავე თავადიშვილის გვარის წევრებს და მასთან ერთად განაგრძობდნენ მათს საბრძანებელსაც. მთელი საქართველო დაიყო შემდეგ საერისთავოებად: "ს ვ ა ნ თ ა - ე რ ი ს თ ა ვ ი ბ ა რ ა მ (ვ ა რ ა მ) ვ ა რ დ ე ნ ი ძ ე, რ ა ჭ ი ს ე რ ი ს თ ა ვ ი კ ა ხ ა ბ ე რ - კ ა ხ ა ბ ე რ ი ძ ე, ც ხ უ მ ი ს ე რ ი ს თ ა ვ ი – შ ა რ ვ ა შ ი ძ ე, ა მ ა ნ ე ლ ი ს ძ ე, ო ქ ი შ ი ს ე რ ი ს თ ა ვ ი – ბ ე ქ ი ა ნ ი, დ ა ლ ი ხ თ - ი მ ე რ ე თ ს ქ ა რ თ ლ ი ს ე რ ი ს-

თაეად რაგი სურამელი, და კახეთის ერისთაეად ბაკურ ყამისძე, ძაგნისძე, ჰერეთის ერისთა ეად ასათ გრიგოლისძე, რომელმან მოსტაცა მძლავრებითა და მორეცითა სალრის ქოლონკელისძისა და მცირედ კაშ ქონებასა შინა თაჯა არშიანის ალგილასა და ჯდომა სასწაულითა და ხელთ უღია შეილსა მისსა გრიგოლის ჰერეთის ერისთაეობა, და სამცხის ერისთაეად და სპასალარად ახინეს ბოცო ჯაყელი და ხეანი ხელის უჭალნი, გაძარსა და საყდარსა წინაშე მდგომელნი, განაბინეს წესისაებრ და სიასლისა" (იხილეთ მარი ბროსე, საქართველოს ისტორია, ნაწილი I, ტფ., 1895, გვ. 163).

ამ ცნობიდანაც ჩანს, რომ სამცხის ერისთაეად ჯაყელი დაუნიშნაეთ და მისთვისვე მიუნდეიათ სპასალაროზაც. როგორც სამართლიანად ეარაუდობენ, სწორედ ამ დროიდან სამოურთმეეიათ ერისთაეობა სურსიძეებს. თუმცა ისინი პირველხარისხოვან თავადებად დარჩენილან და არც შემდეგში მოკლებიათ დიდება და პატივი. ამას აღასტურებს შემდეგი ფაქტი: ისინი (სურსიძეები) სხვა წარჩინებული ქართველების დარად სამეფო თანამდებობების დარიგების დროს ღებულობდნენ მაღალ თანამდებობას. სურსიძეების მდგომარეობაში აღმოსენილან ძველი აზნაურის წეერნი: ასათისძე, ბაღურისძე, გულისძე და ძაგნისძე.

ცნობილი ბარბის ეკლესიის გარდა, სურსიძეებს თაეი-

ანი საბრძანებელში აუშენებიათ ჭულების ტაძარი. ამას ადასტურებს ტაძრის წარწერა, რომელიც გამოფრა და თავის "ძოვნაურობის" აღწერაში მოიხსენია მარი ბროსემ.

მას შემდეგ, რაც საქართველოში ფართოდ გავრცელებული ერისთაეთერისთავის თანამდებობა აწინაურთა შორის შემცირდა, რანგით ერისთავი-ერისთავის ტოლი, მაგრამ შინაარსით ახალი თანამდებობა "ცისხისთავობა" იქნა შემოღებული. იგი ფეოდალურ საქართველოში სამხედრო-ადმინისტრაციული მოხელე, ცისხისიმაგრის (სამხედრო-თავდაცვითი ნაგებობის) ან პატარა გამაგრებული ქალაქის და მის გარშემო აღგილთა უფროსი (კომენდანტი) იყო... საგვარეულოდან თითო მოწინაცვს ან დიდებულთაგანს ხანგრძლივობა ერთი კუთხის რომელიმე ცისის გამგებლობა, ანუ ცისხისთავობა და მას უნდა ეძრუნა არა მარტო რეგიონის თავდაცვისუნარიანობაზე, არამედ რიგ სამოქალაქო საკითხებზეც, თუკი ისინი ცისის სამხედრო-სტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარეობდა. ცისხისთავი უკვე VI საუკუნეში და შემდგომ საუკუნეებში არსებობდა და "განაგებდნენ ქალაქთა და ციხეთაშინა მდგომად და დამჭირველად" განკუთვნილ ლაშქარს, რომელსაც "მცველნი ქალაქისანი" და "ციხოვანნი" (მეციხოვნენი) შეადგენდნენ. ამ დროიდან ცისხისთავობამ სოციალური ინსტიტუტის სახე მიიღო. XII საუკუნის შემდეგ სურსიძენი უკვე ახალ თანამდებობას – ცისხისთავობას იღებენ, ქვაბლიანისა და ახალციხის პატრონები ხდებიან და საქართველოს მეფის ხელდასმის ქვეშ არიან. ეს თანამდებობა ამ საგვარეულოს წევრთა კუთვნილება გახდა და ერთი პირის შემდეგ "ცისხისთავობა". ანუ "მეუფროსობა" მეორე პირზე – შთამომავალზე, სოლო თუ ასეთი არ ჰყავდა, ძმაზე ან ბიძაშვილზე

ვადაღიოდა. რაჟორც ცნობილია, ციხისთაეები სამეფო კარზე მიღებული იყვნენ და პატივითაც სარჯებლობდნენ.

საქმე არაა, რომ დღეანდელი ხერციძეების წინაპრები ხერსიძეები არიან. ბევრ წყაროში "ხერსიძის" გვერდით ვხედებით "ხერციძესაც". მაგალითად, XVI საუკუნის შუახანებში ცხოვრობდა გამოჩენილი მღელელმთავარი იოსებ ხერსიძე, რომელიც ხერციძედაც არის მოხსენებული. იოსები რომ პირდაპირი ნათესავია სამცხელი ხერსიძეებისა, ამას აღასტურებს მარმმის ეკლესიის სამრეკლოს წარწერაც. წარწერა გვაუწყებს: "აღშენდა ესე წმიდა ეკლესია სახელსა ზედა წმინდისა იოანე მახარებლისა ნებითა ღმრთისათა, და ბრძანებითა ყოელისა ქეყანასა სახელგანთქმულისა აჯარიანთა პირის დამყოფელისა ხერციძისა პატრონისა ფასისითა (ფარსმანისა) სულსა მისსა განუსენოს და შეუნდოს ღმერთმან".

მღელელთ-მთავართ მთავრობისა ხერციძისა პატრონის მიტროპოლიტის სპირიდონისა, ქკნს, ს-ე".

წარწერიდან ირკვევა, რომ იოსებ მღელელმთავრის ღროს ხერციძეთა გვარში ყოფილა მეორე, კიღევ უფრო დიდი რანგის მღელელმთავარი, მიტროპოლიტი - სპირიდონი.[1]

რაჟორც ერთი, ისე მეორე ხერციძე, წყაროების მიხედვით, ენერგიულ მქადაგებელ-მწერლად გვეელინება, რის გამოც ერისა და ბერის წინაშე თრიეენი ფრიად დაწინაურებულნი და ფართოდ მიღებულნი ყოფილან. იოსები ერთი

[1] საქართველოს აეტოკეფალიურ ეკლესიაში მიტროპოლიტის ხარისხით აჯილდოებენ მღელელმთავარს და იგი ეპისკოპოსსა და მთავარეპისკოპოსზე მაღლა დგას.

ბრძენი მწერლის დამყოფელ მქადაგებლად ჩანს, რასაც ბარშმის ეკლესიის წარწერა ამტკიცებს: 1577 წელს მოხსენიებულია ხურციძე (ხურსიძე). იოსებ მღვდელმთავართმთავარი აყარიანთა პირის დამყოფელი ქ-კს ს-ე".

ხურსიძეთა (ხურციძეთა) საგვარეულოში ფიგურირებს ხურსიძე, სახელად შიო (შოთა). ამ ხურსიძეს ერის კაცობაში შოთა რქმევია, ცოლ-შვილიც ჰყოლია. ცოლის სიკეთილის შემდეგ ბერად შეძღგარა და ამიტომ, საეკლესიო კრაღიციით, შიო დაერქმევიათ. ქართველ მეცნიერთა აზრით, ეს "შოთა-შიო" უნდა იყოს უკეთესი "ეეუხისტყაოსნის" შემქმნელი შოთა რუსთაველი. რას ეყუმნება მეცნიერსწავლულთა მტკიცებანი?! ...ღადგენილია, რომ ბარშმის ეკლესიის საძრეკლოს აშენების ხანაა XIII საუკუნის შუა წლები. მისი აღმშენებელია ხურსიძე. იქვე მოიხსენიებიან: გაბრიელი, ქალი გულდაში, გაიანე და მისი მამა შოთა (შიო). ამ ფაქტთან დაკავშირებით ბაქარია ჭიჭინაძე გამოთქვამს ვარაუდს, რომ შოთა ყოფილში შოთა რუსთაველი უნდა იგულისხმებოდესო. ე.ი. გამოდის, რომ შოთა რუსთაველი გვარად ხურსიძე ყოფილა. ამაზე აზრისაა ცნობილი მეცნიერ-მკვლევარი ალექსანდრე ხახანაშვილი. ა.ხახანაშვილი უსმობს წარწერას "ამის აღმაშენებელსა წინამძღვარსა გაბრიელ ხურსიძესა შეუნდოს ღმერთმან მისსა ღელასა პატრონისა ივანესა ასულსა გულაღამ ყოფილსა გაიანეს შეუნდოს ღმერთმან მისსა მამას შოთა ყოფილსა შიოს შეუნდოს ღმერთმან", და წერს: "შოთა (შიო) ხურსიძე რომ რუსთაველია, ამას მე გარდაწყვეტით ვამბობ და ეს უფრო დამტკიცდება მაშინ, როცა ხსენებულ წარწერის ღრო ნათლად იქმნება ახსნილი და განმარტებული" (ბ. ჭიჭინაძე, ისტორია ხურსიძის (ისარლოვის) გვარისა და შოთა (შიო) რუსთაველი, ტფ., 1904).

მკითხველებს მოეხსენებათ, რომ საქართველოში ფართოდ გავრცელებული შეხედულების თანახმად, შოთა რუსთაველი შესხა იყო. იგი თავის თავსაც ასეთად თვლის: "ქვეყანიერ შესხი მელექსე მე რუსთველისა დამისა"-ო. სალხში მიარული გვარი გადმოცემის თანახმად, შოთა რუსთაველს მეუღლეც ჰყოლია, შვილებიც მისცემია, მაგრამ ცოლის სიკვდილის შემდეგ ბერად შემდგარა. ბერად აღკვეცილს ერთხანს საქართველოში უცხოვრია, შემდეგ კი იერუსალიმში წასულა – ჯვრის მონასტერში, სადაც გაუგარებია სიცოცხლის უკანასკნელი დღენი. ამის შესახებ ქართველი აკადემიკოსის – აკაკი შანიძის, გიორგი წერეთლისა და ირაკლი აბაშიძის პალესტინაში მოგზაურობის შემდეგ, სადაც მათ (იერუსალიმში, ჯვრის მონასტერში) შოთა რუსთაველის მოხუცებულობის პერიოდში ცხოვრებისა და მოღვაწეობის დამადასტურებელი რამდენიმე ფაქტი მოიძიეს. თვით შოთა რუსთაველის მკვიდრელი საქართველოს ეპისკოპოსი გიმოთეც თავისდაუნებურად ადასტურებს შოთა რუსთაველის მოხუცებულობის ჟამს იერუსალიმში წასვლას და ჯვრის მონასტერში მოღვაწეობას, რაცა თავის წიგნში წერს (თუმცა წერს მგმობელის სულისკვეთებით, მაგრამ ფაქტის რეალობას გვერდს ვერ უვლის):

"ქვალაღ ჯვარის მონასტერი დაძველებულა და გუმბათის ქვეშ სვეტნი განუახლებია და დაუსაგვირებია შოთა რუსთაველს, მეჭურჭლეთუხუცესს, თვითონაც შიგა საგია მოხუცებული"-ო (იხ. გიმოთე "მოგზაურობა იერუსალიმში", თფ. 1852).

უპირველესი არგუმენტი, რომელზე დაყრდნობითაც

საქარია ჭიჭინაძე შოთა რუსთაველს ხურსიძედ აცხადებს, ისაა, რომ მის მიერ დაძებნილი მასალებით მტკიცდება შემდეგი: XII-XIII საუკუნეებში და ძირძველად XIV-XVIII საუკუნეებშიც სამცხეში მცხოვრები დიდებული გვარის წარმომადგენლებიდან. რომლებიც ბერად შეკვეთენ, არცერთს სახელად შოთა (შიო) არ რქმევია. ამის თაობაზე იგი წერს: "...რაც შეეხება იმ მაგალითს, რომ შოთა რუსთაველის გარდა იმ დროს სხვა ვისმე შოთაც ცხოვრობდა ასეთის გვარის შვილი, რომელიც ჰესხეთის წარჩინებულს ოჯახს ეკუთვნოდა და ის უკანასკნელი ბერათაც შეკვეთა, რაისა გამო მას ბერობაში სახელად შიოც უწოდეს, ვის იცის, შეიძლება, მაგრამ ჩვენს არა გვგონია, რომ ასეთი პირი და მისი ცხოვრება ჩვენს საკლესიო მწერალთა და ისტორიას გამორჩენოდა და დიდებული ოჯახის შვილის ბერად აღკვეცის ამბავი არსად მოეხსენებიათ... გერჩება ვრთიდა ვიფიქრათ, რომ ამ მაშენებელია გვარია ს ურსიძე და ამაე გვარის წევრათ არის მოხსენებული შოთა ყოფილი ბერად შიო, "შოთა ყოფილი შიო", რომ ხურსიძეა, ამას ეჭვი არ უნდა, რადგანაც ამას წარწერა ცხადათ მოწმობს..." (ზ. ჭიჭინაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 38-39).

შოთა რუსთაველს იერუსალიმში წასვლის შემდეგ საქართველოში ბევრი გულშემატკივარი დარჩენია. სწორედ ამ ქომაგებიდან მოკვარეებს – ხურსიძეებს თავიანთი გვარის მნათობი ვარს კლდეთის სახელი საგვარეულო ტაძრის კედელზე ამოუკვიფრავთ და უკვდავუყვიათ იგი" (იქვე, გვ. 42-43).

ეფიქრობთ, ქართველი მეცნიერები უნდა დაინტერესდნენ ბარაძის ტაძრის კედელზე მოხსენებული "შოთა ყოფილის" და "შემდგომში შიოს" პიროვნებით და კვლევა-ძიება

ძანაძლე უნდა გაგრძელდეს, ვიდრე არ დადგინდება, თუ ვის იყო იგი? სად ცხოვრობდა, რა თანამდებობა ეჭირა და რა საქმიანობას ეწეოდა?!

ჩვენი მხრიც დაგასძენთ, რომ თუკი ხურსიძეები (უფრო ადრე ხორხანელები, დღეს კი – ხურცოძეები) საქართველოს ისტორიულ წარსულში დიდ როლს ასრულებდნენ როგორც ქვეყნის მშვიდობიან აღმშენებლობაში (მათ შორის კულტურულ ცხოვრებაში), ისე სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში, ხოლო საქართველოზე მტრების თავდასხმისას სიცოცხლეს სწირაელნენ საკმაოდ ღირსეულად, რა გასაკვირია, რომ ულმობელი შოთა რუსთაველიც ამ გვარის წარმომადგენელი იყოს.

ხურსიძე-ხურცოძეთა კოლორიტულ საგვარეულოზე თხრობა სრულყოფილი არ იქნება, თუკი არ აღვნიშნავთ შემდეგს: ხურსიძენი XVI საუკუნის მიწურულამდე ქვაბლიანსა და ახალციხეში ცხოვრობდნენ და ქრისთიანების, ქრისთიანთქრისთიანების, ციხისთავისა და ეპისკოპოსთა სახელოები ეპყრათ ხელთ. ხსენებულ დროს ამ საგვარეულოს წევრნი ქრისტიანული რელიგიის (მართლმადიდებლური) აღმსარებლობისანი იყვნენ. ვახტანგ გურიელის მიერ გაცემულ ბარმაზის ეკლესიის ნიეთების გურიაში (შემოქმედში) ჩაგანისა და მის მიერ ამ საეკლესიო ნიეთების მიღების დამადასტურებელ სიგელში (1577 წელი) კარგად ჩანს, რომ ამ გვარის შვილები აქამომდე ყველგან ხურსიძედ იწოდებოდნენ. შემდგომში, როგორც ვიმოთ მოკლედ უკვე ვთქვით, ხურსიძეთა ერთი ნაწილი ხურცოძე ხდება, ხოლო ნაწილი, სამცხე-საათაბაგოში დარჩენილები, ისარლიშვილ-ისარლოვებად ინათლებიან. ეს კი ასეთნაირად მომხდარა:

ირან-ოსმალეთის საქართველოზე შეტევების საკითხი 1555 წელს ამასიაში დადებულმა ზავმა გადაწყვიტა. ამასიის ზავის საფუძველზე ირანმა და ოსმალეთმა სამცხე-საათაბაგო შუაზე გაიყვეს. მისი დასავლეთი ნაწილი – ტაო, შავშეთი, კლარჯეთი (ჭოროხის აუზი) ოსმალეთს ერგო, ხოლო აღმოსავლეთი ნაწილი – სამცხე-ჯავახეთი, არტაანი (მტკვრის აუზი) – ირანს. ოსმალეთმა ამით არ დაკმაყოფილდა და 1590 წლისათვის მესხეთთან ერთად მთელი კაქახიაც დაიპყრო. ოსმალთა აგრესიის შეღეგები სამცხე-საათაბაგოსათვის ყველაზე მძიმე აღმოჩნდა. 1595 წელს დაპყრობილი მსარე აღწერეს და გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი შეადგინეს. ოსმალებმა ქართველთა ძალით გამაჰმადიანებას მიჰყვეს ხელი. მათ მიერ გატარებული "გაგურჯების", სხვად ქცევის უსენელო პოლიტიკა არა ერთ საბუთში ასახა. "ქართლის ცხოვრება" გვამცნობს: "არამედ გარდაიკლებოდნენ წესსი და ყოველი მოყვნი პატივისათვის სებითა და მოყვნი მძლავრებითა ოსმალთა გამაჰმადიანებოდნენ და იქმნებოდნენ უმორჩილონი ათაბაგისანი, ხოლო მანუარ მძლავრობდა მათ და არა პატივს უყოფდა" (ის. ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959, გვ. 167).

ულიღის მატერიალურ და მორალურ მარალთან ერთად, ეთნიკურმა გენოციდმა ულიღეს მწვავრს მიაყენა. დაიწყო მოსახლეობის გამაჰმადიანება. სხვად ქცევისათვის თავი რომ დაეღწიათ, მრავალი ადამიანი, მათ შორის თავადაზნაურობა, თავს გაქცევით შეეღოდა. ისინი მიდიოდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და იქ სახლდებოდნენ. მესხეთში დარჩენილთა ერთმა ნაწილმა, ქართველობა რომ შეენარჩუნებინა, კათოლიკობა მიიღო. კათოლიკური

სარწმუნოება მიიღო აგრეთვე მესხეთში დარჩენილ ხურსიძეთა ნაწილმა. წესისამებრ, კაცი კათოლიკურ სარწმუნოების რომ მიიღებდა, მას აუცილებლად გვარი მთლიანად ან ნაწილობრივ უცვლებოდა, ერთის ნაცვლად ორ სახელს აგარებდა. ასე გახდა პეტრე და პაველე, გიორგი და იოანე, გიორგი და იაკობი და ა.შ. ისევე როგორც ამ წესის გამო ოქროპაშვილი გახდა ალთუნაშვილი, ყარდაძე – ჩალიგარაშვილი, მამაცაშვილი – უაფაბაშვილი, შოშიაშვილი – ნალბანდიშვილი და ა. შ.

ხურსიძეების გაკათოლიკების ხანად საქართველოს ისტორია 1580-იანი წლებიდან მოყოლებულ პერიოდს, ე.ი. XVII საუკუნის დასასრულს მიიჩნევს. დადგენილია, რომ ამ ხანებში ისინი ცნობილი კათოლიკეები არიან და ახალციხეში, შეძლებისდაგვარად, ყველა დაბალი წოდების ქართველ კათოლიკეს დახმარებას უწევენ. გამორიცხული იყო, ახალციხიდან ვინმე ქართველი ტყვედ წაეყვანათ. ხურსიძეებს გაეგოთ და არ დაესხნათ. ოსმალთა წინაშე დიდი ხმა და შეგავლენა ჰქონდათ ხურსიძეებს. მათს ასეთ მგზნებარებას ისიც აძლიერებდა, რომ ხურსიძეები ოსმალთა ერთგული ათაბაგების წინაშე უპირველეს მეცხოვნეებად – საცხოსნო საქმიანობის მცოდნე პირებად ირიცხებოდნენ. ამ საგვარეულოს წევრთა ცხოვრებისეული კრედო გახლდათ მშობლიური კუთხის – სამცხე-საათაბაგოს საქმეთა მიმართ გულშემატკივრობა, ქართველების პატიესისცემა და მუარაყელობა. და ასე: ვიდრე სამცხე-საათაბაგოს ათაბაგები ქართველებისა და საქართველოსადმი ერთგულებასა და სიყვარულს იჩენდნენ, ხურსიძენიც მათთან ერთად იბრძოდნენ დამპყრობ ოსმალთა წინააღმდეგ. მათ მანუჩარ პირველთან, მანუჩარ მეორესთან და მესა-

მესთან ერთად არაერთ ბრძოლაში მიუღიათ მონაწილეობა და ერთად შეუმუსრავთ მტერი. ამ ბრძოლებში ხურსიძეები პირველნი ყოფილან (ახალეთი ლუკა ისარლოების წერილებია).

ხურსიძეები, კათოლიკობის მიღების შემდეგ, ახალციხიდან თავიანთი ქუთხილ ხოფელ იცლიგაში გადასახლდნენ და იქიდან ქრისტეშობლნენ ათაბაგებს ახალციხეში. უნდა ვთქვათ ისიც, რომ ამ სახელოვანი გვარის წარმომადგენლებს თავიანთი საკუთარი ეკლესიც ჰყოლიათ, რომელთა ნაწილი კათოლიკობას დაკარგებია. იცლიგას კათოლიკურ ეკლესიას ხურსიძეები დაუბგრონებენ, ხოლო, როცა ეს ძველი ეკლესია მაჰმადიანებმა შეუსრეს და დაანგრიეს, ხურსიძეებმა, თანასოფლელებთან ერთად, ახალი ეკლესია ააშენეს. იმ დროს ქართველ კათოლიკე თავადაზნაურობაში ხურსიძეები თითქმის პირველ სახლის შვილებად ითვლებოდნენ, ასეთივე პირსათელნი იყვნენ ისანი მართლმადიდებელ და გამაჰმადიანებულ ქართველთა წიაღშიც. ის კი არა და, ხურსიძეთა მიმართ მორიდება და შიში თვით ოსმალებსაც ჰქონდათ. სწორედ ამიტომ იყო, რომ ახალციხის "ცხისთავობა" ყოველთვის მათ ხელში რჩებოდა. ხურსიძეთა გვარის დიდი ნაწილი მართლმადიდებლად დარჩა, მცირე ნაწილი კი გამაჰმადიანდა. საბჭოთა პერიოდში, ამან შემლეგში მტრობა და შუღლი გამოიწვია ქრისტიან ხურსიძეებსა და გამაჰმადიანებულებს შორის. გამაჰმადიანებულები ქვაბლიანს (ადიგენი) დარჩნენ, დანარჩენები კი — ახალციხესა და თელიტას.

როგორც ვიცით ითქვა, ათაბაგები დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ ხურსიძეებს, მაგრამ, როცა ათაბაგებს შორისაც ბოროტებამ გაიდგა ფესვი და ბუქა ათაბაგმა

ქალრამი საქმე ჩაიდინა, მას შემდეგ ხურსიძეებსაც აქვთ პატივი; ხურსიძეებსა და ათაბაგებს შორის უსიამოვნება ჩამოყარდა. ამასობაში ათაბაგობა ფაშობით შეიცვალა (1626 წელს) და სამცხეში ოსმალური წეს-ჩვეულებანი, ხოლო დამკვრობითა სამშართველოებში ქართულის ნაცვლად ოსმალური ენა გაბატონდა. ყველა მოხელეს ოსმალური სახელი ეწოდა. საფარ ფაშას (ჯაყელი) დროს შემოვიდა და გაწეწდა ბეგობა, აღობა, ალიაბეგობა, სანჯახ(ყ)ბეგობა. ამავე დროს ახალციხის მცველთ, ანუ "ციხისთავეთ" ოსმალური სახელი ეწოდათ, "ციხისთავის" მაგიერ "ისარლი", ანუ "ისარლი აღასი". ასე რომ, ქართული სახელების ადგილი თანდათანობით ოსმალურმა დაიჭირა. ქართველთათვის გაუგებარი სახელწოდების შემოღებამ ისეთი მახინჯი სახე მიიღო და დაკანონდა, რომ მოგვიერით ქართველ მოხელეს თანამდებობის ამსახველი სახელწოდება შემდგომ გვარადაც კი დარჩა, რომელიც, მაგალითად, ეს დაემართა სამხრეთ საქართველოში მცხოვრებ ხურსიძეთა ერთ ნაწილს. ძირეული, ღიდებული ერისთავთერისთავის თანამდებობის მფლობელ ხურსიძეებს თავიანთი შამაპაპეული გვარი "ხურსიძე" შეუცვალათ და მის მაგიერ მათი მოსისხლე მტრის ენით შექმნილი "ისარლი" ეწოდათ (ისარლი თურქულად ცისკისთავს ნიშნავს). ამის მიხედვით სამცხეში გაჩნდა გვარი ისარლიშვილი. სულ რაღაც ათი წლის განმავლობაში (XVII საუკუნის 40-იან წლებამდე) სამცხე-საათაბაგოს ოსმალეთის ქუთხის ელფერი დაეღო, დაიწყო ყოველივე ქართველთა მსე-ჩვეულების გაქრობა, ოსმალურის შემოსვლა და აღორძინება.

ასეთ ენით აუწერელ რთულ პირობებშიც კი ხურსიძეები თანამდებობას ინარჩუნებდნენ და "სრულის ოსმალთა

მორჩილების და ერთგულების ქვეშ" აგარებდნენ. ჩვენი ნათქვამის სასწორეს ისიც ადასტურებს, რომ ხერხიძეებმა თავიანთი მამამამური "ცისფერი" XVIII საუკუნის ბოლომდე შეინარჩუნეს.

ასპინძის ბრძოლაში (1770 წელს) მეფე ერეკლე მეორეს მესხეთისა და ჯავახეთის ქართველი კათოლიკეები ეხმარებოდნენ. ამ ბრძოლაში ხერხიძეები არა მარტო თანაუგრძნობდნენ ქართველთა მეფეს, თმის უშუალო ხელმძღვანელს – ერეკლე მეორეს, არამედ სიცოცხლეც დასჭირებიათ. თანაც ამის ისე ოსტატურად, ფარულად ახერხებდნენ, რომ ოსმალეთის აღგილობრივი ხელისუფლება ამის ღიდ მაღლობასაც კი უხდიდა მათ. ასე ერთგულებდნენ ხერხიძეები ყოველთვის დაჩაგრულ ღელა საქართველოს ოსმალებისაგან დაპყრობილ მესხეთ-ჯავახეთში.

XVIII საუკუნეში მეტად დაწინაურებული პირი ხერხიძეთა შორის ლუკა ისარლიშვილი (ხერხიძე) ყოფილა. ამავე დროს, იმერეთში, სოლომონ მეფის კარზე იმყოფებოდა მელქისედ ბაგრატიონი-ისარლოვი, რომელსაც მეფე სოლომონის ღიდი ნლობა ჰქონდა მოპოვებული.

ერეკლე მეფემ, საშინაო საქმეების ინტერესებიდან გამომდინარე, ძალიან დაიახლოვა ლუკა, მშვენიერი აღგილები უბოძა თბილისში და საჭირო ფულიც მისცა სახლის ასაშენებლად და ბაღის მოსაწყობად. ერთი სიტყვით, ლუკა თბილისში დასახლდა და მეფე ერეკლეს სამსახურში ჩადგა. მეფემ იგი რამდენჯერმე ახალციხეში გაგზავნა ფაშასთან დიპლომატიური მისიით. ფაშასთან ლუკა მეფის ნლობას ღიღის ერთგულებითა და პატიეით ასრულებდა. მეფის რჩეით ლუკა საბოლოოდ თბილისში დასახლდა და ცო-

ლად შეირთო თბილისელი ქართველი კათოლიკე აზნაურის ნებიერიძის ქალი ანა. მეფე ერეკლეს მრავალმხრივ აწუხებდა, რომ ლუკა ჯერჯერობით ჰყოლოდა, თანაც იმის გამოც, რომ ლუკა ისარლოვ-ხურსიძის ბიძა ბახილა ისარლოვი (ისარლიშვილი) იმ დროს ახალციხეში "ცხისთავად", ანუ "ისარლად" იმყოფებოდა, იყო ახალციხის ციხის კარის მცველი, მძლე კაცკაცი, რომელსაც დიდი ხმა და ჯაელესა ჰქონდა ახალციხის ფაშების წინაშე. გარდა იმისა, რომ ლუკას ახალციხეში დიდად გაელენიანი თანამდებობის ძმა ჰყავდა, თვითონ ლუკა ისარლოვიც საკვირველი, სანდო ქართველი იყო ქართველთ მეფისა და საქართველოსათვის.

ლუკას ჰყოლია ოთხი ცოლიშვილი: გრიგოლი (რომელიც ისტორიაში გადასახლდა 1798 წელს), იოანე, სტეფანე და მეგრე; სამი ქალი: ბარბარე, მაია და ნათელა. შვილებს მამასავით ჰყვარებიათ თავისი ერი და რაოდენც შეძლოთ, ისე იღვწოდნენ მისი ბედნიერებისათვის. ლუკას შვილებიდან ისტორია განსაკუთრებულად გამოყოფს ბარბარეს, რომელიც ჭკვიან მანდილოსნად მოიხსენიება. ბარბარე დაახლოებული ყოფილა სამეფო სახლთან და ბაგრატიანის ქალებთან მეგობრობდა (უფრო ვრცლად იხილეთ ზ. ჭიჭინაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 66-70).

ლუკა ისარლიშვილის ვაჟებიდან სოლომონს მეფეს გამორჩეულად სტეფანე უყვარდა. თურმე მეფე ხშირად იმეორებდა: – "ჩემი პატარა სტეფანე, ჩემი პატარა ისარლიო".

გადმოცემითა, მეფე აჯამეთის ტყეში ყოფილა სანადიროდ. იქ მისთვის ნუგბარი ხილით საცხე კალათა მიურთმევიათ. ნასიამოვნებ მეფეს საცხე კალათა მხლებლებისთვის გადაუცია და უთქვამს: "ეს შემინახეთ ჩემი პატარა

სტეფანესათვის, მას ხილეულობა ძალიან უყვარსო".

ამ სანებში ლუკას მეუღლე ანა ქუთაისში ცხოვრობდა. იქვე გადასულა საცხოვრებლად გრიგოლ ასარლოეს ხანლობა. ორივე ოჯახი თავიანთ სიძესთან, მეფე სოლომონ მეორის ნაბერ დათაშვილთან დასახლებულა. რამდენიმე ხნის შემდეგ გიორგი მეფეს ანასთვის მოეტყუებინა და თბილისში გადმოსახლება უთხოვია. დიდის სვეტწინა-მუხარის შემდეგ ანა შეთანხმებით თბილისს დაბრუნებია. მეფის აქტიური ჩარევით გრიგოლ ხურსიძემ (ასარლოეშმა) ცოლად შეირთო ითისებ ყარალაშვილის ქალიშვილი ეკატერინე. გრიგოლი ყურ შეჰყრებია მეუღლეს, მეფისათვის ახალციხეში წასვლის ნებართვა უთხოვია. საიდანაც წინასწარ ქართველთა გაკვალულ გზას გაჰყოლია და სპარსეთზე გაევლით ისფაჰანის ქალაქ კალკუტაში ჩასულა.

ქართველებმა საგანგებო ქარავანთან ერთად ვაჭრობისა და ალებ-მიცემობის დაწყების მიზნით მოკავშირობა დაიწყეს (XVII საუკუნის მიწურულს) ისფაჰანში, სპარსეთში, ოსმალეთში, რუსეთში... XVIII საუკუნის დასაწყისში ისფაჰანის ქალაქებში – მაღრასსა და კალკუტაში საეკლესიო აღგილები გაიხსნეს. ამ ქალაქებში ქართველთა ქარავანსეც კი არსებობდა. ვაჭრობამ და ალებ-მიცემობამ ფართოდ გაიკაფა გზა თფილისშიც. ამ საქმეში დიდად დაწინაურდნენ ქართველი სოფლადრები, ქარავანის პატრონები: შარაფიშვილები, შელიქიშვილები, ბუბალაშვილები, ასარლოებები, მიშანდარი, პირკულაშვილ-მაჩუკაშვილები და ბევრი სხვა.

ბაქარია ჭიჭინაძე წიგნში "ქართველ კათოლიკეთა ეკლესია" (თფილისი 1905 წელი), გამოხსენილ ქართველ მრევლეთა და ეკლესია ჩამოთვლას ბუბალაშვილებით

იწყებს და მეორე აღგილზე ხურსიძეებს, კერძოდ, ლუკა და გრიგოლ ხურსიძეებს ასახელებს. XVIII საუკუნის ახალციხის და მისი თემის გამოჩენილ გვართა სხვებისას, წყაროები ისარლოე-ხურსიძეთა საქებად სიტყვებს არ იშურებენ. ხაჩს უსვამს, რომ ამ გვარის ხალხში მეტად ცნობილნი და ძველთაგანვე განთქმულნი არიანო. იყვნე ისარლოები ომერეთის ძველი დროის მომსწრე. ალებ-მიცემაში ცნობილი და სხვა ქვეყნებშიც ვაჭრობის მიზნით მაღალი კაცი იყო" (ის. ზ. ჭიჭინაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 29, 72). იქვე ნაწყვეტშია, რომ "XVIII საუკუნის ბოლო ხანებიდან საქართველოსა და ინგლისის ვაჭრობის გზაზე თავალსაჩინოში იყვნენ ვაჭარნი გრიგოლ ხურსიძე-ისარლოევი და სტეფანე ბებალაშვილი". გრიგოლი ინდოეთში დასახლდა, იქ ვაჭრობდა, მილიონების პატრონი გახდა, იქვე დაცოლშვილდა და 1829 წელს მოუცალა. მისი ქონება დარჩათ შვილებს, ღელით ინდოელებს. უძრავ-მოძრავი ქონება გრიგოლისა ინგლისურ ენაზე შედგენილი და კალკუტის, მთავარი სოტარიუსისაგან დამტკიცებული ანდერძის ძალით გადაეცათ ოჯახის წევრებს. იმ დროის კვალობაზე თანამედროვენი ღიღად აფასებენ ხურსიძეთა და სხვა ქართველთა ღვაწლს და მათ ხალხის გზის მაჩვენებლად, გულშემატკივრად, მოძღვრად და პატრონად ასახელებენ. მოუსმინოთ კვლავ შაქარია ჭიჭინაძეს: "სადი ლოღიკაც ამას გვასწავლის, მიეცით ხალხს კარგი პატრონი. გულშემატკივარი მოძღვარი. მათი მფარველი, გზის მაჩვენებელი, მშრუნველი და ცხადი საქმეა, რომ თვით მრეველიც სანაქებო გზას დააღგება, ჩიხებულ ხალხად გადაიქცევა. ქართულად ამბობა ნათქვამი: "როგორიც მღვდელიო, ისეთიც

მრეწველიო", სწორედ კი ასეთად იგულისხმა: – "როგორიც მღვდელიო, ისეთიც ერიო".

გრიგოლ ხურსიძეს საქართველოში ჩამოსვლა კერ მოუსვრებია, ინდოეთში დარჩენილა და, როგორც ალვიშნეთ, 1829 წელს გარდაცვლილა პალანგის კუნძულზე (ინგლისურად ამ კუნძულს პრინცესა ჰქვია).

1800 წლის 28 დეკემბერს მეფე გიორგი გარდაიცვალა და 1801 წელს საქართველო მეფის რუსეთის იმპერიამ შეიერთა. თბილისში იმ დროს მცხოვრები სახელოვანი პეტრე და იესე ორბელიანიც რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომები გახდნენ. ძიძლევნი პერიოდში მათ რუსული ენა შეისწავლეს და რუსეთის სამსახურში შეიღწიეს. ბუნებრივია, არც ქართული ენა დაიწყეს, თავიანთ თანამემამულეებს, რაც შეეძლოთ, ყოველნაირად უანგაროდ ემსახურებოდნენ.

იმერეთის მეფე სოლომონ მეორე (1789-1810 წლები), ქართლ-კახეთის რუსეთის შემადგენლობაში მოქცევის შემდეგაც, მეფის რუსეთისაგან შორს გადგა, იმერეთის სამეფოს რუსეთთან დაკავშირება არ სურდა. მეფის რუსეთის იმპერია ყველანაირ ძალას (პოლიტიკურს, მოსყიდვის, სამხედროს) ხმარობდა იმერეთის დასაძორჩილებლად და მიაღწია იმას, რომ სოლომონს რუსეთის მოპირობის ქვეშევრდომობა აღიარებინა (1804 წლის 25 აპრილი, ისტორიული ელაზნაურის შეთანხმება 1804 წელი), მაგრამ ქართველი მეფე ტახტის დაკარგვას ვერ ურიგდებოდა და მის შესანარჩუნებლად იბრძოდა. 1810 წლის 20 თებერვალს რუსეთის სარდლობამ ქუთაისში სოლომონ II ტახტიდან ჩამოაგდო და იმერეთში რუსეთის მმართველობის შემოღება გამოაცხადა. სოლომონ II მოტყუებით ჩაიგდეს

ხელში, თბილისში ჩაიყვანეს და საპყრობილეში მოათავსეს. საპატიმროში მყოფი, ქართველი ხალხის დიდი პატრიოტი, ბაგრატიონთა დიდი ოჯახის სახელოვანი წარმომადგენელი, იმერეთის მეფე სოლომონი საგონებელში ჩაყარეს. მთავრობა, რომ თბილისში ცხოვრობდა მისი კარგი ნაცნობი, ლუკა ისარლოვის მეუღლე ანა (ჯყარად ჩეხიერიძე). ანას ქალაქში ყველა იცნობდა და პატივითაც სარგებლობდა. ორი მალე მოძებნეს და საიდუმლოდ მეფე სოლომონთან მიიყვანეს. მეფეს ლუკა ისარლოვის ქვრივის ხილვა ძლიერ ეამა და ხანგრძლივი საუბრის შემდეგ ფრთად საიდუმლოდ შემდეგი რამ გააგებინა:

– ჩემო მეპურმარილეც და პატიოსანი დადმითანი ანა, მე აქ დიდს შიშში ვარ ჩაყარღნილი, საქმელი ყელარ მიჭამნია, მოწამეების მეშინიან, თვით ჩემს ერთგულთაც ყელარ ვენდობი. შენის მეტის მე იმედი არა მაქვს, თქვენ უნდა მომიხარშოთ კერძი და მომიგანოთ.

მეფის თხოვნა ანა ისარლოვამ ჩვეული ყურადღებით და თანაგრძნობით მოისმინა და იმ ღღიდან ის უმწაღებდა მეფეს საღილ-ვახშამს. მეფე სოლომონი ეშიშრად მიირთმევდა მის მოგანილს. ბოლოს და ბოლოს სოლომონმა მოასერხა ტყვეობიდან თავის დაღწევა, თბილისიდან გაიქცა და ახალციხის საფაშოს შეაფარა თავი. 1810 წელს იმერეთში გაღაეიდა და აჯანყება მოაწყო (იხილეთ იმერეთის აჯანყება. 1810 წელი), დამარცხდა და თავი კვლავ ახალციხეს შეაფარა, საიდანაც ოსმალეთში გაღაეიდა.

მეფე სოლომონ II-ის ტყვეობიდან გაქცევის ხელშემწყობად ანა მიიჩნიეს და ისარლოვების ოჯახის ყველა წევრი დააპატიმრეს. თვით ანა კაეკასიის მთავარმართებელ

გორგასალს წარუდგინეს. მთავარმართებელმა ანას საკვლევრად უთხრა:

– რაგომ თქვენ არ განუცხადეთ მთავრობას, რომ სოლომონ მეფეს ოსმალეთში გაქცევა უნდოდა? ამ განზრახვის შესახებ თქვენ გეტყოდათ, რადგანაც მის წინაშე დიდი ცდობა გქონდათ მოპოვებული. ანა ასარლოვისამ მიუგო:

– თუ ამის გულისათვის გარ დაპატიმრებული, მოგახსენებთ, რომ სოლომონ მეფეს ჩემთვის არაფერი უთქვამს. თუნდაც. რომ გაენდო თავისი ეს განზრახვა, მე ამის შესახებ მაინც არაფის განეკუთხადებდა. განა შესაძლებელი იქნებოდა ჩემთვის ამის შესახებ თქვენთვის ან სხვა ვისთვისმე მეთქვა და ამით მეც გამეცა?! მეფე-ცოლობილი ყოველთვის მფარველობას გიწევდნენ მე და ჩემს შვილებს. მე მათ წინაშე დიდი ცდობა მქონდა დამსახურებული და ნუთუ მე, ასეთი ალამიანი, მათი მტერი – ჯაშუში გავხლებოდი? თუ მხოლოდ ასე გახლავთ საქმე, გთხოვთ, რომ ჩემს სახლს ყარაულთა გუნდი მოაშოროთ და გამანთავისუფლოთ. ასეთი მოქმედება საკადრისი არ არის თქვენთვის! მე პასუხისმგებელი გავხლებოდი ღვთის წინაშე და მასთან დამშვიდებულ, ჩემი მყარველი მეფისაგან მთხლობილი საიდუმლოება რომ გამეცა. გთხოვთ, რომ ჩემს სახლს მოაშორით დარაჯები, გამანთავისუფლოთ...

ამ დროს იქ, მთავარმართებელთან იმყოფებოდა ქალაქ ფოთის მცრისაგან განმათავისუფლებელი თავადი ბაძანა ორბელიანი. მთავარმართებელმა ბ. ორბელიანს უთხრა:

– მართალია, კნიაზო, რასაც ეს ქალი ამბობს, ყველა პატივსანი კაცი ასე მოიქცეოდა.

თავადი ბ. ორბელიანი კარგად იცნობდა ანას ქმარს და

მთავარმართებელს ყველაფერი უამბო ლუკა ასარლიების საქმიანობისა და ერეკლე მეფის წინაშე მისი ღვაწლის შესახებ. მიაწოდა სხვა ცნობებიც. მთავარმართებელმა გორმასოფემ ანა დაამშვიდა და განუცხადა:

– იქნეს მიბრძანებით სახლში და ყოველივე აღსრულებული იქნება.

– მთავარმართებელმა დაუყოვნებლივ შეასრულა დანაბარები – ასარლიების მთელი ოჯახი გაანთავისუფლეს.

გაღმოცემით, ხერხაძე-ასარლიების გვარს უმწიკვლოდ ულვაწია ქართველი ერისა და სრულიად საქართველოსათვის, საპასუხოდ მრავალი მადლობის სიტყვა და გულწრფელი მიღებათ საქართველოს უმაღლესი ხელისუფლებისაგან.

ხერხაძეებმა, ისევე როგორც ბევრმა სხვა ქართველმა წარჩინებულმა, დროის მოთხოვნილებისამებრ კათოლიკობა მიიღეს. რა თქმა უნდა, ასარლიებისათვის კათოლიკობის მიღება საბჭოთა ეპოქაში არ მოიხსენია. მათი მიზანი იყო ღვთისა და ქართველობის შენარჩუნება და მიზანსაც მიაღწიეს – გადაირჩინეს ღვთაებაც და ქართველობაც.

ცრილო არ იქნება მკითხველს შევახსენოთ შემდეგი: კათოლიკობა (ბერძნულად საყოველთაო, მსოფლიო) ქრისტიანული რელიგიის ერთ-ერთი მიმართულებაა მართლმადიდებლობასა და პროტესტანტიზმთან ერთად. გავრცელებულია ავსტრიაში, პოლონეთში, ჩეხეთში, იტალიაში, პოლონიეთში, პორტუგალიაში, ლათინური ამერიკის ქვეყნებში, აზიისა და აფრიკის ქვეყნებში, საფრანგეთში, გერმანიაში, უნგრეთში, ჩეხეთსა და სლოვაკეთში, კუბაზე, ლიტვაში, ბელორუსიის

დასავლეთ რაიონებში, უკრაინაში. მცირერიცხოვანი მრევლი ჰყავს საქართველოშიც. ქართველები კათოლიკობას უკავშირებდნენ საქართველოს გაერთიანებისა და გამოხსნის საქმეს. XVII-XVIII საუკუნის პოლიტიკოსები ცდილობდნენ რომის პაპის აუტორიტეტითა და საფრანგეთის დახმარებით კათოლიკის დიდი ნაწილის შეკავშირებას ირანისწინააღმდეგ. ეკრთველებს უხახავდნენ მომხიბლველ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პერსპექტივებს. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ეკრთაში ქართველი ელჩების ხასელას.

მეთვრამეტე საუკუნეში ხურხიძეთა გვარში რამდენიმე სახელოვანი პირიც გამოსულა, რომელთაგან მოვს რომში ესწავლია და მოვს კი – სომეხთა მხითარისტების სასწავლებელში (მხითარისტები - სომხური საკლესიო კონგრეგაცია, რომელიც 1701 წელს დააარსა ბერძმა მხითარ სებასტიელმა. 1717 წლიდან დღემდე მათი ცენტრია ვენეციის მახლობლად, კუნძულ სან-ლაძაროში).

მღვდელი გრიგოლ ისარლიშვილი ცხოვრობდა XVIII საუკუნეში. იყო ახალციხის იოანე ნათლისმცემლის გაძრის მოძღვარი. გარდაცვლილა ღრმად მოხუცებული 1784 წელს (დაბადების წელი უცნობია). აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ის სახიამოვნო ფაქტი, რომ გრიგოლი იყო ქართველი მწიგნობარი, ლიტერატურისა და ისტორიის კარგა მცოდნე, ეკლესიებში ქართულად ქადაგებდა და ქართულად კითხულობდა საღმრთო წერილს. ბედნიერებით სცოდნია მთელ საქართველოში გაფანტული და საცხოვრებლად თუ მის დროს მოღვაწე თავისი საამაყო საგვარეულოს – ნ ო რ ი ა ნ ე ლ ე ბ ი-ხურხიძეები-ისარლოვები-ხურციძეების ისტორია. ამაყე დროის მოღვაწეა მღვდელი ანტონ ისარლოვიც. ეს

მღელვარებას. ეს ამბავი ასახულია სხვადასხვა ქალაქებში. ქალასანაცვლად ახალციხის იუდეველ სათლისმცემელის ქალაქებშიც უმსახურია და კარგი სახელიც დაუტოვებია თავის მრეწველში.

ვაჯამებთ რა ხორასანელები-ხურასანელები-ახარლოელების ხელოვნების ქარის ისტორიას, განსაკუთრებით უნდა ვთქვათ შემდეგი: ქარი წარმოიშვა სანის VIII საუკუნიდან, მაგრამ ქარაფუდობს, რომ ეს ქარი გაცილებით ადრე არსებობდა. ხორასანელი-ხურასანელი-ახარლოელი-ხურეთელი ქართული ქარიანი ისტორიაში ერთ-ერთი უძველესი ქარიანებია. ხურასანელები ფეოდალთა ფენიდან – ახალი ხორასანელებიდან გამოსულან და მესხეთში უცხოელთათ: ქვაბლიანში, ალიაქში, იელიგაში, ახალციხეში, სოფელ სადელაში (მას ახლოს ყოფილა არაყისცემა). მოკვდინებით ხურასანელები ხელოვნებად მოსიარულენი და დასახლეთ საქართველოს სხვადასხვა მხარეში განსახლებულან.

მაშა იუდეველ ქარაშანის ცნობების თანახმად, ხურასანელებს ცხის პაგრონობის დროს ფულის მოქრელის თანამდებობაც კი სჭერიათ. ქარაფუდობენ (რას შესახებაც მეტი აღვნიშნეთ), რომ შოთა (შიო) ქარად ხურასანელ ყოფილა, ძველ მემატიანეთა ცნობით კი შოთა რუსთაველი თამარ მეფის მექურჭლეთუხუცესი, ანუ სამინისტრო იყო. ხურასანელებმაც, რიგ სხვა ქართველთა მსგავსად, როცა ოსმალების გამუდმებული შემოსევების შედეგად მესხეთ-ჯავახეთში ძალიან გაჭირდა, ახარლიშვილის ნაცვლად ახარლები გახდნენ, მართლმადიდებლობაც დათმეს და კათოლიკური აღმსარებლობა მიიღეს. ერთ-ერთ ფირმანში აღნიშნულია: "ჩვენ, ოსმალეთის მთავრობა, თქვენ ახარლებს კარგად ვიცნობთ, რომ თქვენ ახალციხის თემის

გურჯის ფრანგები ხართ". იქვე წერია: "თქვენგარ ერთგულებათვე არიცხებოლნენ თქვენი წინაპრებიც, მამანი, პაპანი და პაპის მამანი".

სხვა წარჩინებული ქართველი გვარების მსგავსად, ხურსიძეებსაც რამდენიმე ვარიანტი აქვთ. ესენია: კოხიძე (სამცხე-საათაბაგოში), კორთხია და ჩიხაძე (სამეგრელოში). სულავიძე, სულაშვილი, ასარლაშვილი (ასარლოები), ცახახთაური (დღევანდელი ცახახთაურები ხურსიძე-ასარლოე-ხურცილაურები არიან). ამ გვარის წარმომადგენლების ხალხში თურმე კრუხჭაშიანი, ბაგოსიჯანის, ანუ ბაგოსიჯანიანთაც უწოდებდნენ. "ჯან" ქართველებთან ზოგჯერ თანხლებულად, ხშირად კი "სულის" სინონიმადაც ისმარება (ჯანი ანდღეთიდან მარადისობიდან გამოცლილია ხელში შემთხვეული და "სულს" ნიშნავს). "ბაგოსიჯანი" აქ მოფერებითაა ნათქვამი. ესეც ამ გვარის წარმომადგენელია სახარებლად ლაპარაკობს (ახალგაზრდა იაკობ ახუაშვილის სტატია "ვის ვყო შთამა ხურსიძე?!", გაზეთი "ჯეკი ექსპრესი", 1-31 მარტი, 1994 წელი).

ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ ბრძოლაში 12 ათას რჩეულ მეომარს სათაურში ედგა ერთ დროს განთქმული მთავარსარდალი, ხოლო იმ დროს ბერად აღკვეცილი თორნიკე ერისთავი და მას ისარში ედგა ჯოჯიკი. აკაკი წერეთლის პოემის გმირი, თორნიკე ქართველის ("ქართლის ცხოვრება") ყველა მონაცემი გვაფიქრებინებს, რომ ხურსიძეთა საგვარეულოდან უნდა ყოფილიყო. იქნებ, ამ მოსაზრებით დაინტერესდებიან ქართველი მკვლევრები და წამოყენებულ მოსაზრებაში სიცხადეს შეიტანენ.

დაბოლოს, ხურსიძეთა პარალელურად გვარი სურციძე აღრეც გვხვდება ამილახორთა გვიანდელ მოსახსენებლებ-

ში. მაგალითად, ერთ-ერთ მათგანში ვკითხულობთ: "აძალ-ახორახა ულბულრისა საუკუნოშცა არს სახსენებელი მისი და თანამყოფელრისა მისისა [ისეს] ხურციძისა ასულისა ხესტაქრჯნისი საუკუნოშცა არს სახსენებელი... (ახალეთ საქრთველოს ისტორიის მასალები, XV-XVI საუკუნეები, თბ., 1961, გვ. 20).

ხორხიანელ-ხურხაძეთა გრადაციას ღვთ ღირსეულად აგრძელებენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ხურციძეები, ეთნოსთაეები და წიგნში მოხსენიებული ამ გვართა განშტოებანი.

ავტორს ისღა დარჩენია, მაღლობა მოახსენოს ყველა მკითხველს, რომელმაც ბოლომდე წაიკითხა წინამძღვარე ნაშრომი. მაღლობას ვუცხადებთ იმათაც, ვისაც დაინტერესდება ამ და სხვა საკვარეულოთა ისტორიით, წინ წასწევს და გააძღიდრებს ავტორისა (თუ ავტორთა) ნააშაგარნაღვაწს.

— "ხარშეა ბრძნად მქმნელი საქმისა, იყავ წესარი და ცნობილი" (შოთა, 49,4).

თანამემამულეე! იყავ ბრძნული საქმეების მკეთებელი და ამაეე დროს წყნარი, გონიერი და ჭკვიანი.

შ ე ნ ი შ ნ ე ბ ა: ქვეყანაზე ყველაფერი შეღმეტი საშიანია, გარდა მამულის სიყვარულისა და სამსახურისა; რაც მეტად გიყვარს და ეშსახურები მამულს, მამულიც მეტად შეგიყვარებს და ეს ალამანისათეის ყველაზე დიდი ბედნიერებაა.

ვინც კი გაეცანი ამ გვარის ისტორიაზე მუშაობისას, — დაწყებული თემურ და პაშლეტ ალექსანდრეს ძეებიდან, პროფესორ ნიკა ხურციძე, იოსებ (სოსო) ხურციძედან, ბექან ელადიშვრის ძე, კარლო პაატეს ძე, გრიგოლ გიგოს ძე და ალექსანდრე პეტრეს ძე ხურციძეებით დამთავრებუ-

ლი, შოთა რუსთაველის რჩეული ავტორიზმების ცხოვრებაში გამგარებელი და "საქმესი საგმირთის" მქმნელია. ესენიც წინაპარია დარად ყველაფერზე წინ მამულს აყენებენ, მათ, როგორც ერთის, სწამთ, რომ კარგი სახელი, რომელსაც ადამიანი გოცებს ამ ქვეყნად, ყველაზე დიდი სიმდიდრეა შეილებისა და შეილიშვილებისათვის, მთელი შთამომავლობისათვის.

დიახაც, "კარგის მქმნელი კაცი ბოლომდე არ წახდების!" (1508,4).

სულა ხურსიძე, X საუკუნის პირი "ქართლის ცხოვრება".

იყანე სულასძე ხურსიძე - სურსა "ქართლის ცხოვრება".

დაკლაკ (თუ დაკით?) ხურსიძე, X საუკუნე (იქვე).

იყანე დაკლაკისძე ხურსიძე, 1027-1080 წწ. (იქვე).

ფარსმან ერისთავთერისთავი ხურსიძე, 1030-1100 წწ. (იქვე).

გიორგი ერისთავთერისთავი ხურსიძე 1060-1135 წწ. (იქვე).

ვახტანგ ხურსიძე 1120-1170 წწ. (იქვე).

ითოსებ ხურსიძე, მღვდელმთავარი. XIII საუკუნის პირი.

შოთა (შიო) ხურსიძე ბარძიმის წარწერებით.

გულდამა (გაიანე) იყანეს ასული ხურსიძე, XIII საუკუნის ბარძიმის წარწერით.

გაბრიელ მღვდელმთავარი ხურსიძე. ძე შოთა (შიო) ხურსიძისა.

ბაბა (ბარბარე) და თამარი XIV საუკუნის პირნი. ბარძიმის ნიშნების წარწერა.

სფარიდონ ხურსიძე, მღვდელმთავარი 1557 წ. "ქრონიკები", II, თ. ყორდანია.

ვახტან ხურსიძე, ჭყონდიდის ტაძრის მშენებელი. მისივე ტაძრის წარწერით.

ამილახვარ, ლუკა, მიქელ ხერხეიძე-ისარლიშვილები (ისარლოები): კარლი, ბაღდასარ, გიორგი, მელიქსეტ, ლუკა, ბახტან ხურსიძე-ისარლოები, დაბადებულნი XVIII საუკუნეში.

გრიგოლ ხურსიძე, მღვდელი – ისარლოი დაბადებული XVIII საუკუნეში, 1782 წ. მოხუცი.

ანტონ ხერხეძე (ხარლოეთი, მღვდელი, დაბადებული XVIII საუკუნეში. მოხუცი.

ლუკა – მკვლელ მისი ანა. ძენი არიანი: გრიგოლი, იოანე. სტეფანე და პეტრე. ასულები: ნათელა, ბარბარე, მარიამ.

იოანე – მკვლელ მისი ხალიმე, ძე არიან ბაქარია.

ბაქარია – მკვლელ მისი ფლეძონი. ძენი არიანი იოანე და გიორგი. ქალები: ნატალია, ხალიმე, დარია და ქეთევანი.

სტეფანე – მკვლელ მისი ბარბარე. ძენი არიანი: ლუკა. ალექსანდრე, ფარნაოზი. ქალები: ეკატერინე. ანა.

ლუკა – მკვლელ მისი გიორგი. შვილები: იოსები და მარიამი.

იოსები – მკვლელ მისი ოლია. ძენი: გიორგი. დიმიტრი.

ალექსანდრე – მკვლელ მისი ბარბარე. ძენი არიანი: გიორგი, ილარიონი. იოსები, მიხეილი, ნიკოლოზი, იაკობი, რაფიელი, გაბრიელი, კონსტანტინე. ასული სოფიო.

გიორგი – მკვლელ მისი ანასტასია. ძე ჰყავს პეტრე. პეტრეს მკვლელ იაღვეთა.

მიხეილი – მკვლელ მისი ალექსანდრე.


იაკობი – მკვლელ მისი ანა. ძენი არიანი: პეტრე. კონსტანტინე. ასულნი: ბარბარე, მარიამი, ნინო, ელენე და სოფიო.

კონსტანტინე – მკვლელ მისი სოფიო. ჰყავს ასული ელენე.[1]

ქორეპისკოპოსი, სვანთა დარჯეპისკოპოსი, რომელიც ჩანს, აგრეთვე ეხლანდელ წარწერებში დასახელებული ისტო-

[1] ბაქარია ჭიჭინაძე. ისტორია ხერხეძის (ხარლოეთის) ეკლესია და მოძღვრობა (შიო) რქმიაველი. თფ. 1904 წ. გვ. 107–108.

რაულის პირების, ერთი ფეოდალური სახლის ოთხი თაობის გენეალოგიური ტაბულა ასე წარმოგვიდგება:



აქრიტად, ტაბულის მიხედვით, დარკვეთის ეკლესიის წარწერებში დასახელებული პირების მოღვაწეობის დროა XI საუკუნის II ნახევარი, უფრო მისი დასასრული და ეს წარწერებიც ამ დროით თარიღდებიან (იხილეთ დასახ. ნაშრ., გვ. 77-79).

ქორეთის (სამხერის რაიონი), ღმრთაების ეკლესიაზე იკითხება:

+ს(ა)მ(ე)ბ(ა)ო წ(მიდა)ო, შ(ეი)წყალ)ე და აღიდე მ(ა)რ(ია)მ ღელოფალი და შეილნი მისნი გ(იორგ)ი და ხურსი.

არქეოლოგიური კრების წიგნი, მოსკოვის არქეოლოგიური კომიტეტისა, ტ.V. წერილი ალ. ხახანაშვილისა.

არხეოლოგიური მოგზაურობა ლბაქრაძისა 1878 წ. პეტერბურგში.

ბ ე ქ ა ა ლ ბ უ ლ ა ლ ა შ ა თ ი ხ ა შ ა რ თ ა ლ ი ნ. საშანიძისა. ჟურნალი საქართველოსა, ვახუშტისა. ტფ. 1845.

გერია-აჭარაში მოგზაურობა ლ. ბაქრაძისა 1878.

გუჯარი, იერუსის ძველისა.

ღახაელეთ საქართველოს წარწერები. ნაკვ. I (IX-XIII სს.) შეალგინა და გამოსაცემად მოამზადა კ.ცინცაძემ. თბ., 1980.

ვ ა ხ ტ ა ნ გ ბ ე რ ი ძ ე. საისტორიო ხერთობილები XIII-XVI სს. თბ., 1955. მასთან: საისტორიო ხერთობილები. თბ., 1970.

ვ ა ხ უ შ ტ ი ს ჟურნალი, ტ., 1848.

ვ ა ხ უ შ ტ ი ს ისტორია, ტ.1, ტფ. 1885

ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გამოც. ს.ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1973.

ვახშე მესხის შრომანი მარშრის წარწერების შესახებ.

ზ ა ქ ა რ ი ა ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე. ქართული მწერლობა XIII ს. ტფ. 1887

ზ ა ქ ა რ ი ა ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე. ისტორია ხერხიძის (ისპირლების) ჯვარისა და მოთა (მთის) რუსთაველი. თფ., 1904.

ი ა კ ობ ა ხ უ ა შ ვ ი ლ ი. ვან იგი მოთა ხერხიძე. გაზ. "ჯეჯილ ცქსპრესი" 3-31 მარტი, 1994 წ

ლ. ი ს ა რ ლ ო ვ ი ს წერილები, თფ., 1904.

მ. ბ რ ო ს ე ს მოგზაურობა, 1855.

ნ ი კ ო ლ ო ზ ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, წკნ. I, თბ., 1940.

პეტრო ღელა ვალეს წერილი ერბანის პაპიან 1620 წ.

გამოთეს მოგზაურობა იერუსალიმს, თბ., 1852.

საქართველოს ეკლესიების აღწერა ლ. ბაქრაძისა, ტფ., 1877.


საქართველოს სიძველენი, გამოც. ექვ. თაყაიშვილის მიერ. წკნ. I, თბ., 1905.

ქართლის ცხოვრება, ტ. I, ტფ., 1898.


ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959

ქრონიკები, შეკრებილი თ. ქ ო რ ღ ა ნ ა ს მიერ, წკნ. II, თბ., 1897.

"წყობილ-სიტყვაობა" ანტონ კათალიკოზისა, გამოც. 1851 წ. პლატონ იოსელიანის შენიშვნები.




ზარზმის ტაძარი აღშენ. X სუკ. ხურსიძეთაგან.



სოფ. ჰულების ტაძარი

აღშენებული ხურსიძეთაგან.



გამომც. რედაქტორი ზ.ჯიბლაძე
საქსაგტერო რედაქტორი ნ.ლაფანი
ტექნიკური რედაქტორი მ.ასათიანი
კორექტორი ნ.ბიბილური

სა№ 5213
გადაეცა წარმოებას 18.10.94 ხელმოწერილია
დასაბეჭდად 22.11.94 ქაღალდის ზომა 70X100/32
საბეჭდი ქაღალდი №1.
გარნიტურა ჯენა ბეჭდვა მაღალი
ნაბეჭდი თაბახი 3,75 სააღრიცხვო-საგამომც. თაბახი 2,11
ტირაჟი 10000
შეკვ. № 169

ფასის საანგარიშოდ

გამომცემლობა "განათლება".
თბილისი, გ.ნუბარაშვილის ქ. 50.
სტამბა №1

იაკობ ვარდოს-ძე ასუაშვილი
ხურსიძე – ხურციძედან
რუსთაველამდე

"განათლება"
1994